საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ოთხშაბათი 12 თებერვალი 1919 წ. ყოველდღიური ჟურნ. გაზეთი, მეორე წელი.

# ერთობა

ფასი 75 კაპ.

[illegible] 18 [illegible] 75 კაპ. [illegible] ...—1 მან. [illegible] 20 მან. [illegible] 12 ს. [illegible]

[illegible] თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია [illegible] 10—12 საათამდე [illegible]

ტელეფონი 16—62.

№ 34 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 34

ღრმად დამწუხრებული იოსებ საყვარელის ძე ურუშაძე, მაზლი და რძალი მისი ხარიტონ საყვარელის ძე ურუშაძე, ელენე ირაკლის ასული ურუშაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ რკინის გზის საავადმყოფოში 2 თებერვალს სახადით გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორის და მესამის დაუვიწყარი რძალი

**მ ტრონე ანტონის ასული ურუშაძე**

დასაფლავება მოხდა რკინის გზის სასაფ. ქალაქ თბილისში 3 თებ. (2—2)

ბედიდან დაჩაგრული მეუღლე ქეთო მიქაძისა, (ასათიანის ასული) ძმები: სიმონ, ივანე, კირილე და სერაპიონი მიქაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარ

**ლავრენტი მ ტროფანეს ძე მიქაძის**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდა 11 თებერვალს (ახ. სტ.) დღის 2 საათზე, ქოლობნის (სენაკის მაზრა) მაცხოვრის ეკლესიის გალავანში. (1—1)

მამა ანდრია კოხრეიძე, დედა რადო კოხრეიძისა, მეუღლე ბაბილინე შვილებით, ძმები: ამბაკო და ლავრენტი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**გიორგი ანდრი ს ძე კოხრეიძის**

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება საავადმყოფო „ელბრუსიდან“ ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე, ხოლო დასაფლავება ს. დიდი ჯიხაიში შაბათს, 15 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე. 1—1

ეშმაკი და თავუნა
„ახირებული“
რვეული I.
საწყობი „ერთობის“ კანტორაში.

## ქალაქის თვითმართველობაში

10 თებერვალს პირველად შეიკრიბა ახლად არჩეული საბჭო თფილისის თვითმართველობის. 10 თებერვალს პირველათ გაისმა ახალი შემადგენლობის სიტყვა.

და ეს პირველი სიტყვა იყო ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ვითარებაზე. შავი ღრუბლები არ გადაშორდა საქართველოს დემოკრატიის ცას. მე ვამბობ დემოკრატიის ცას იმიტომ, რომ შემოსეულთა მთავარი ძალა მიმართულია არა თუ რესპუბლიკის, არამედ დემოკრატიის წინააღმდეგ.

ის ძალები, რომელნიც ჩვენს რესპუბლიკას მოადგნენ საჯიჯგნავათ, მახლობლათ მდებარე რესპუბლიკებს და მათ დამოუკიდებლობას ხელუხლებლათ სტოვებენ, ჩვენსას კი ებრძვიან.

რათ ხდება ეს?

მიზეზი აშკარაა. მეზობელ რესპუბლიკებში გამეფებულია დენიკინის მახლობელი, მონათესავე წრეები. მისებური სოციალური შეგნებით და მისწრაფებებით.

საქართველოში კი მეფება აქვს მოპოვებული შრომის შვილთ, რევოლიუციის მიერ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებულ დემოკრატიას.

დენიკინი წარმოშვა რევოლიუციის დაშლამ და რეაქციის გაძლიერებამ, იგი ამ უკანასკნელის მატარებელია. ამავე საფუძველს ეყრდნობა ის ძალებიც, რომელნიც ჩვენს გარშემო დამოუკიდებელ არსებობას აპირებენ ძველი რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზე.

და სოციალური ნათესაობა ქმნის მათ შორის სულიერ ერთობას, მიუხედავათ ზოგიერთ ინტერესების წინააღმდეგობისა. ბეგები და დენიკინები კარგათ თავსდებიან ერთ ფარგალში, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება დემოკრატიის ბატონობის დამხობას, ხოლო ამავე მიზეზით ებრძვიან და მტრობენ საქართველოს.

მტრობენ არა მარტო იმიტომ, რომ იგი დამოუკიდებელია, ამ მხრით იგი მეზობლებს წააგავს, არამედ იმიტომ, რომ იგი დემოკრატიულია.

ამით აშკარავდება ნამდვილი კლასიური შინაარსი იმ ბრძოლისა, რომელიც შავი ზღვის ნაპირებიდან ემუქრება დღეს საქართველოს.

საბჭოს არსებულ პარტიებში გაისმოდა სხვა ნოტა, ნოტა ამ ბრძოლის ეროვნული ხასიათისა, ამტკიცებდნენ, რომ აქ ერი ეპირდაპირდება ერს.

არ შეიძლება უარყოფა ამ ელემენტისა ამ ბრძოლაში. მაგრამ ეს ელემენტიც საფუძვით ემორჩილება კლასობრივ პრინციპს რუსის ხალხი კი არ მიდის საქართველოს წინააღმდეგ, არამედ რუსის ხალხის ჯალათი. და მას გვერდში უდგიან უცხო იმპერიალისტურ ძალებთან ერთად ქართველი მუსულმან-ბეგები. უკანასკნელნი ალბათ სარწმუნოებას იფარებენ სახეზე, რომ თავის ბნელი მიზნები დაფარონ ისე, როგორც დენიკინები დიდი რუსეთის ნიღაბით მოდიან, რომ თავის შავი ფერი სახელმწიფოებრივი ელფერით შეაფერადონ. ბრძოლა შავი ზღვის მიდამოებში ამიტომ არის ბრძოლა კლასობრივი, ბრძოლა რეაქციის და რევოლიუციის ნაშთების, ბრძოლა, რომლის დაბოლოვება გადასწყვეტს ჩვენი თავისუფლების საკითხს.

ეროვნული ხასიათი ამ ბრძოლისა გადაჯაჭვულია პირველთან.

საქართველოს დამოუკიდებლობა დაკავშირებულია მის დემოკრატიასთან. და პირველის არსებობა დამოკიდებულია მეორის სიძლიერეზე.

ამიტომ ბრძოლა დემოკრატიის წინააღმდეგ იქცევა ბრძოლად თვით რესპუბლიკის საფუძველთა წინააღმდეგ. ამას ხედავს მტერიც და მოყვარეც. და აქედან ეძლევა ეროვნული ელფერი ჩვენს ბრძოლას, რომელიც არსებითად თავის შინაარსით, თავის მომქმედ ძალების მიხედვით სრულესად კლასიურია.

ეს გამოიხატა მკაფიოდ საბჭოს რეზოლიუციაში, და ამით აღინიშნა ღრმა პრინციპიალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჩვენს გარშემო დატრიალებული ამბების. ჩვენი პირველი საბჭო ამ მხრივ დადგა თავის სიმაღლეზე და ჩვენი დემოკრატიის ვალია თავის არჩეულთ მხარი დაუჭირონ, ზურგი გაუმაგრონ და მისი მოწოდებით დაიცვან თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

## დამფუძნებელი კრება და რეაქციონერები

დამფუძნებელი კრება რევოლიუციის გვირგვინი, დამფუძნებელი კრება წითელი საფრთხე, დამფუძნებელი კრება ხალხის ბატონობის დღესასწაულია.

და ამ დღესასწაულის ჩაშლა, ამ წითელი საფრთხის თავიდან აცილება მიზნათ დაუსახავთ ყველა ქვეყნის რეაქციონერებს.

საქართველო რაღაც სასწაულებრივი ძალით გადურჩა რუსეთის რეაქციის ტალღას, და რევოლიუციის სათავეში დადგომას ცდილობს. მთელი რეაქცია ცდილობს ამ პატარა საქართველოს წინააღმდეგ, რომ მისი დემოკრატიის უკანასკნელი ძალები შემუსროს და მის იმედს, მის სასოებას, დამფუძნებელ კრებას ლახვარი ჩასცეს.

ახალციხის ბეგები ამ ლოზუნგით გამოვიდნენ, არც ერთი ხმა დამფუძნებელ კრების არჩევნებშიო. თფილისის ესერები, ნამდვილ ესერების პროგრამას და რევოლიუციონური მუშაობის შემარცხვენელნიც, ამ ბეგების ნათქვამს იმეორებენ, როგორც მათი ჩინოვნიკური გონების სიბრძნეს.

დენიკინის ლაშქარიც ამ ხანათ იწრაფის არევ-დარევა შეიტანოს ჩვენს რაზმებში, ბათუმის მხრიდანაც რეაქციონური ელემენტები ახლა ამოძრავდნენ.

ეს შავი ყორნები წინდაწინ დასჩხავიან რევოლიუციის ნორჩი შვილის დაბადებას, რომლის ვადათ 14 თებერვალია დანიშნული.

დამფუძნებელი კრების მოწვევა—ეს ამ ყორნების გულში ლახვარის ჩაცემაა, საბოლოოთ რევოლიუციისა და თავისუფლების მოყვარეთა გამაგრება და შეკავშირებაა..

დამფუძნებელი კრება—დიდი, საისტორიო, საკაცობრიო მოვლენაა—იგი ხალხის გამარჯვების მომასწავებელია და განა ყვავ-ყორნები ამას შეურიგდებიან?

დამფუძნებელი კრება რევოლიუციის შვილია და იგი რევოლიუციურ ბრძოლის ალში იბადება. გარშემორტყმულმა რეაქციონერებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ მისი წარმოშობის დრო სასტიკი ბრძოლის ქარცეცხლით განბანილიყო.

დამფუძნებელი კრება—ეს ნიშნავს გლეხებისთვის მოპოვებულ მიწის განმტკიცებას მუშებისთვის 8 საათის სამუშაო დღის დაკანონებას, ყველასათვის თავისუფლებას.

და ვინც ამას ებრძვის, იგი გლეხისთვის მიწის წართმევის მოტრფიალეა, იგი მუშათა კლასის მოსისხლე მტერია, იგი თავისუფლების დამამარებელია. საქართველოს დემოკრატიის ერთგულნო შვილნო, მუშათა კლასის თავდადებულნო მებრძოლნო, რევოლიუციის ნაწრთობნო მეომარნო, ტანჯვა-წვალების წიაღიდან გამოდის დიდი მნათობი დამფუძნებელი კრების. და თქვენ უნდა შეუწყოთ ხელი მის მშობიარობას. თქვენმა რევოლიუციურმა ენერგიამ უნდა იხსნას იგი დედამიწის პირიდან აღგვისაგან, თქვენ უნდა დაიცვათ პირველი დღე მისი გაჩენისა და მთელი ხანა მისი არსებობისა.

დამფუძნებელი კრება მოითხოვს მისი იდეის გარშემო შემოკრებას. ვინც მას იცავს, ის ამით იცავს თავის თავს, თავის რევოლიუციურ წარსულს და თავისუფლების აწმყოს, ის იცავს რესპუბლიკას.

დამფუძნებელი კრება რესპუბლიკის დედაბოძია, მისი დანგრევა თვით ამ რესპუბლიკის ძირის გამოთხრაა. მტერი მოადგა საქართველოს საზღვრებს, რომ ეს სიმაგრე მას ხელიდან გამოაცალოს. დაიცავით იგი მტრის განადგურებისაგან.

მუხანათი, ბნელი ძალა იარაღით შემოიჭრა, რომ სული ამოხადოს საქართველოს დემოკრატიულ წყობილებას, ხალხის სისხლით ნაშენს.

იარაღით მიეგებეთ მტერს.

ეს უკანასკნელი, ძლიერი და გადამწყვეტი იერიშია შავბნელი რეაქციის. მთელი თქვენი ძალღონით მოიგერიეთ იგი და დაიცავით თქვენი კერა, თქვენი ოჯახი, თქვენი აწმყო და მერმისი უსასტიკესი მონობისაგან. დამფუძნებელ კრებას მტრის გუნდები შემოესია, მაგრამ მას იცავს დემოკრატიული ენერგია ჩვენი ხალხისა და ის გაიმარჯვებს. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

## პრესა

„საქართველოს“ უნდა თავის ზეკლასიური მუშაობა ბურჟუაზიის გამოქომაგებაშიაც დაინახოს. შ. ამირეჯიბი, წერილში „მართალი ქართულ ბურჟუაზიაზე“, ასე ახასიათებს დღევანდელ ქართულ ბურჟუაზიას, რომელიც ყველა პარტიებს ეტანება, ყველგან ცდილობს შევიდეს და მოიკალათოს, როგორც სოციალისტურ, ისე არასოციალისტურ პარტიებში.

რა არის ეს? აპოლიტიზმია ეს განა? რასაკვირველია, არა! ეს არის ალყა, ნამდვილი ალყა, რომლითაც უვლის ქართული ბურჟუაზია ყველა მას, რაც კი სასიცოცხლო ნიშანს ატარებს დღეს ჩვენში. ქართული ბურჟუაზია ყველა ხვრელშია დღეს მოკალათებული.

ის ყველგან სძოვს დღეს, ის იზრდება ის გაიზრდება.

ალბათ ინსტიქტია აქ მიზეზი, რომ ქართული ბურჟუაზია ყველა თავის კატეგორიებით ერთ პარტიაში არ არის მოქცეული. ბურჟუაზია ბუნებით წესრიგის პარტიის მომხრე უნდა იყოს—ასეთია ჩვენი პარტია. მაგრამ ამ ინსტიქტით ის გრძნობს, რომ დღევანდელი ანარქია მას ამდიდრებს. როცა გამდიდრდება ის ალბათ ზურგს უჩვენებს სოციალისტურ პარტიას. მაგრამ იბადება საკითხი, რანაირი უნდა იყოს ეროვნულ დემოკრატის როლი, ვიდრე ეს ბურჟუაზია გამდიდრდება და სამუდამოთ შეაქცევს ზურგს ანარქიას?

დღეს ჩვენ ერთი მეტად იდეურ ბურჟუაზიასთან გვაქვს საქმე. ჩვენ ვცდილობთ ნთელი ბურჟუაზია ამ იდეური და შემოქმედი ელემენტის სიმაღლეზე ავაყენოთ. ეს უფრო ეროვნული საქმეა, ვიდრე ვიწრო კლასობრივი.

ჩვენ ამ სურათის სინამდვილე უნდა დავადასტუროთ. დიახ, ქართველი ბურჟუაზია დღემდე დაქსაქსული და ხვრელებში მძრომი, რომ იქ თავის ხელის მოსათბობი ეშოვნა, ამ ჟამად უკვე იწყებს თავის კლასობრივი სახით გამოსვლას. იგი უკვე შეუდგა თავის პარტიის შექმნას. და ეს პარტიაა ეროვნულ-დემოკრატია. ეს მართალია, მაგრამ აქედან გამოდის დასკვნა, რომ ეროვნულ-დემოკრატია კლასობრივი პარტიაა, რომელიც ბურჟუაზიულ კლასის იდეოლოგობას ცდილობს, მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით ბურჟუაზიის სულს ვერ მისწვდომია. იგი სუსტია, იმიტომ, რომ სუსტია თვით ქართველი ბურჟუაზია ეს ვსთქვით ჩვენც წინა წერილში. ამასვე ადასტურებს ახლა თვით „საქართველო“ მაგრამ ბურჟუაზიის სამსახური რომ უფრო ეროვნული საქმე იყოს, ვიდრე ვიწრო კლასიური—ეს ბ-ნ შ. ამირეჯიბის მდარე ფილოსოფიაა, მეტათ მდარე წყაროებიდან ნასესხები...

სიმართლე კი ის არის, რომ ზეკლასიური ეროვნულ-დემოკრატებიც ნამდვილათ ყველაზე მეტათ არიან კლასიური პარტია. და სურვილი თავის სახის დამალვისა მათ სწორეთ ამ ბურჟუაზიის ქვემძრომობით აქვთ ნაკარნახევი. ამ მხრივაც იგინი სავსებით დღევანდელ ჩვენი ბურჟუაზიის „კოპიოს“ წარმოადგენენ...

* * *

„ნაროდნოე ზნამიას“ სირცხვილი არ აქვს. ის იმდენად მოურიდებელია, რომ ბეჭდავს ისეთ წერილებს თავის ლიდერებისას, რომელნიც ცხვირში სცემენ თვით ამ გაზეთის მთელ მოღვაწეობას საქართველოში. „დელო ნაროდაში“ მოთავსებულია ე. ტიმოფეევის წერილი, რომელიც ს. რ. პარტიის ერთი გამოჩენილი წევრთაგანია და რომლის სიტყვები დამახასიათებელია ს. რ. დღევანდელი სულიერი განწყობილებისთვის.

პირველათ ყოვლისა ე. ტიმოფეევი სავსებით ამართლებს ჩვენს მოსაზრებას, რომ დღევანდელ პირობებში დემოკრატიის გამარჯვება რუსეთში თითქმის უიმედოა. ჩვენ ამ აზრისთვის ჯვარზე ცმას გვიპირებდნ, ნაციონალისტობას და რუსთმოძულეობას გვწამებდნენ. ახლა თვითონ ესერებიც გვემოწმებიან. განსხვავება ისაა, რომ ეს ჩვენ ადრე მივხვდით, იმათ უფრო გვიან შეიგნეს.

„დემოკრატია, რომელსაც სურდა ალეგავა ბოლშევიზმი პირისაგან ქვეყნისა და გადაეჭრა გზა რეაქციისთვის, თვითონ იმდენათ დაიცალა სისხლისაგან, იმდენათ დაიშალა, დაიქაქსა, რომ იძულებული გახდა თავის პოზიციები დაეთმო...

ფართო, აშკარა სახალხო მოძრაობა ბოლშევიკების წინააღმდეგ ამ მომენტში, შეიძლება დამსხვრეულად ჩაეთვალოთ და ამ დამარცხების ფონზე რომლითაც სარგებლობს რეაქცია, თავს იჩენს სულიერი განწყობილება მორიგებისა“. („ნარ. ზნ.“ № 17. ფელეტონი).

სამწუხაროდ გამართლდა ის, რასაც ჩვენ გულისტკივილით მოველოდით. ბოლშევიზმმა დაასამარა რევოლიუცია და გზა გაუხსნა რეაქციას. დემოკრატია გასტეხა ამ შინაურმა მტერმა. რუსეთში წააგო თავის რევოლიუციური ბრძოლა ანარქიისთან.

რა დაგვრჩენია ასეთ პირობებში? ის, რაც ჩვენ მოვიმოქმედეთ, ე. ი. დაცვა რევოლიუციის ოაზისებისა იქ, სადაც იგი ჯერ კიდევ სულდგმულობს.

და ე. ტიმოფეევი სწერს:

„არც ერთი პოზიცია, რომელიც უჭირავს დღეს კიდევ დემოკრატიას, უბრძოლველად არავის არ უნდა დაეთმოს. იმ ადგილებში, როგორც მაგ. ყირიმში, **საქართველოში**, ბოლოს შეიძლება უკრაინაშიაც, სადაც არსებობენ უკვე დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ერთეულები, **მუშათა კლასის საქმე** და მასთან ერთად ესერების პარტიის საქმეც **ისაა, რომ მხარი დაუჭირონ** და დაეხმარონ მათ იარაღითაც კი ბოლშევიზმის შემოსევის წინააღმდეგ. **ეს ნაწილობრივი სიმაგრენი დემოკრატიისა უნდა დაცულ იქნენ.** მათზე დაყრდნობილთ უფრო გაგვიადვილდება დღევანდელი დღის ძნელ მემკვიდრეობის ზიდვა მომავალში. მაგრამ აქ ლაპარაკია მხოლოდ თავდაცვაზე. თავდასხმაზე გადასვლას დღეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს“.

ამით ესერების გამოჩენილი წევრები სავსებით ამოწმებენ იმას, რომ დღეს ჩვენი საქართველოს დემოკრატიის მთავარი საგანია დაცვა რევოლიუციის მონაპოვართა ადგილობრივ ცხოვრებაში და რომ ყველა გულწრფელი რევოლიუციონერი მას უნდა დაეხმაროს.

მაგრამ შეიგნებენ ამას „ნაროდნოე ზნამიას“ თავგამოდებული რუსი ჩინოვნიკები?

## ექსპროპრიაცია თუ კონფისკაცია?

(წერილი კარლ კაუცკისა *)

II

ერთი იმ კითხვათაგანი, რომლის გადაჭრა საჭირო იქნება მთელი სახელმწიფოსთვის, არის შემდეგი: უნდა მიეცეს თუ არა სათანადო ფასი იმ წარმოებათა პატრონებს, რომელთაც ჩვენ ნაციონალიზაციას ვუზამთ? თუ, მაგალითად, საქსონია პირდაპირ კონფისკაციას უზამს ყველა იმ წარმოებებს, რომლებიც ნაციონალიზაციისთვის არიან გამზადებულნი, ბავარია კი, პირიქით გამოისყიდდა მათ; თუ საქსონიის შემნახველი კასები შესწყვეტდენ პროცენტების მიცემას იმ საბუთით, რომ მისმა ფასიანმა ქაღალდებმა ფასი დაჰკარგეს, ბავარიის შემნახველი კასები კი ძველებურად განაგრძობდენ პროცენტების გადახდას და სხვ.—მაშინ აშკარაა, ამგვარი მდგომარეობა საქმისა მიგვიყვანდა შეუწყნარებელ პირობების შექმნამდე.

ყველაზე უბრალო და რადიკალურ გადაწყვეტად ნაციონალიზაციის კითხვისა წარმოდგენილი აქვთ კონფისკაცია, ვინც კი ამის შესახებ სხვანაირი აზრისაა, მასში უკვე ეჭვი შეაქვთ, თითქოს იგი ფულების სკივრის ინტერესების მოტრფიალე იყვეს. დამოკიდებულება ამ კითხვასთან განისაზღვრება უპირველესათ ყოვლისა იმით, თუ რა მხრით უდგებიან მას: ფულების, ძალდატანების თუ მარქსიზმის თვალსაზრისით?

უფლებრივი თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი კაპიტალი არის დაგროვებული ზედმეტი ღირებულება, დაგროვებული შრომა. და მუშებსაც სრული უფლება აქვთ დაიბრუნონ ფას გადაუხდელათ საკუთარი ან მათივე წინაპრების დაუფასებელი შრომა.

ძალდატანების თვალსაზრისის მომხრეთ შეუძლიათ სთქვან, რომ საჭირო არაა ისინი უფრო თავაზიანი იყვნენ, ვიდრე წინანდელი თავადი თუ ბურჟუა. თავადებმა რეფორმაციის დროს კონფისკაცია უყვეს საეკლესიო მამულებს, ბურჟუაზიამ კი მოახდინა შემდეგი კონფისკაციები საფრანგეთის რევოლიუციის დროს. რატომ არ უნდა მივბაძოთ მათ მაგალითებს ჩვენ, როცა კონფისკაცია ხდება არა პირადულ უმცირესობისათვის არამედ ხალხის მასსების სასარგებლოდ?

*) იხ. „ერთობა“ № 31.

# დღეს

ადლერის მიმართულებით, სოჭის ოლქში, სომხის მცხოვრებნი მოხალისეთა ჯარს შეუერთდენ და ჩვენს ჯარს ებრძვიან. ვესელოვსკის ხიდზე ჩვენს ცხენოსან რაზმს შეტაკების დროს მოუკლეს ერთი ცხენი. მოხალისეთა რაზმი იქ უკუქცეულ იქნა.

---

მოხალისეთა ჯარის მიერ წარდგენილი ულტიმატუმი ინგუშთა ეროვნულმა საბჭომ არ მიიღო. თერგის ოლქში გრძელდება ბრძოლა ინგუშებსა და მოხალისეთა ჯარს შორის.

ინგლისის მისიის ცნობით ჩრდილო-კავკასიაში მოხალისენი ბოლშევიკებს სჯობნიან.

---

გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ პრეზიდენტათ აირჩევენ ებერტს. მინისტრ პრეზიდენტათ—შეიდემანს.

კილში საალყო წესები გამოცხადდა. ქალაქი მთავრობის ჯარების ხელშია.

ზემო სილეზიაში გაფიცვა დამთავრდა. ყველგან განახლდა მუშაობა.

---

დონის ოლქში ცარიცინისა და ვორონეჟის მიმართულებით ბოლშევიკებსა და მოხალისეთა ჯარს შორის ბრძოლა გრძელდება. ზოგიერთ ადგილებში ბოლშევიკებმა წინ წამოიწიეს.

---

რუსეთის საბჭოთა მთავრობის პასუხს მოკავშირეებთან ზავის ჩამოგდების შესახებ ინგლისის პრესა კმაყოფილებით შეხვდა. ფიქრობენ, რომ ეს გარემოება გაუადვილებს მუშაობას საზავო კონფერენციას.

---

მარქსისტისთვის ამგვარი შეხედულებანი მნიშვნელობას არ არის მოკლებული. მაგრამ მათთვის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვთ ეკონომიური ხასიათის მოსაზრებებს, ეს უკანასკნელნი კი მიგვითითებენ კითხვის სხვაგვარად გადაჭრაზე.

ყველაზე საშინელი უბედურება, რომელსაც კაპიტალისტური წესი წარმოებისა აყენებს პროლეტარულ მასებს და აგრეთვე მთელ საზოგადოებასაც—არის სამეურნეო კრიზისები, რომელსაც თან მოჰყვება ხოლმე საშინელი უმუშევრობა. ეს კრიზისები წარმოადგენდნენ ყველაზე მძიმე ბრალდებას, რომელსაც კაპიტალიზმის კრიტიკოსები უყენებდნენ მას. მოსპობა მათი სამუდამოთ, ან და აცდენა მათი განმეორების შესაძლებლობისა—აი ერთი მეტად დიდი ამოცანა სოციალიზმისა. სოციალისტური რეჟიმი მისცემდა თავის თავს ყველაზე ცუდ მოწმობას, თუ მისი ბატონობის დაწყების ხანას მოხდებოდა ეს სამეურნეო კრიზისი.

ხშირად ისმის საყვედური მშვიდობისა და წესიერებისაკენ მიმართვის გამო. „მშვიდობამ და წესიერებამ“ მოიპოვეს ესეთი არა-სასურველი შეხედულება იმიტომ, რომ ისინი ეკუთვნოდნენ ძველი პოლიციური რეჟიმის ჟარგონს, რომელიც გულისხმობდა მშვიდობის ქვეშ სამარისებურ სიჩუმეს და წესიერების ქვეშ—აუცილებლივ დამორჩილებას. მუდმივი პოლიტიკური სიცოცხლე, მუდმივი პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლა შეადგენენ დემოკრატიის ბუნებას. მაგრამ ჩვენთვის აუცილებლივ საჭიროა მშვიდობიანი და განუწყვეტელი მსვლელობა წარმოების პროცესისა, ურომლისოდაც მუშათა კლასს ცხოვრება არ შეუძლიან. ერთი უდიდესი უპირატესობა დემოკრატიისა იმაში მდგომარეობს, რომ ის საშუალებას იძლევა გადატანილ იქნას ყველაზე სასტიკი კლასიური ბრძოლა იმისთანა ფორმებში, რომლებიც არ ანგრევენ წარმოების პროცესს, იმ დროს, როცა ყოველგვარი დიქტატურა ან და ავტოკრატია, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდნენ ისინი, აღწევენ იმ საზღვრამდე, როდესაც ეს ბრძოლა იღებს იმისთანა სახეს, როდესაც ინგრევა მთელი წარმოების პროცესი.

როგორი გავლენას ახდენს წარმოების მსვლელობაზე კონფისკაცია?

თუ შესაძლებელი იქნებოდა, რომ წარმოება კაპიტალისტური ფაზისიდან უცბად გადაგვექცია სოციალისტურად, მაშინ კონფისკაცია იქნებოდა მეტად მიზანშეწონილი ზომა, რომელიც მართლდება, როგორც ჩვენ დავინახეთ, აგრეთვე უფლებით და ისტორიული მაგალითებით. მაგრამ არავის არ მიაჩნია შესაძლებლად ასეთი უცაბედი გადასვლა სოციალიზმში, თითქმის ყველაზე რადიკალურ ბოლშევიკებსაც კი. ტროცკი და ბუხარინი, მაგალითად, ჰფიქრობენ, რომ გაივლის ორი ან სამი ათეული წლიწადი, ვიდრე მოხერხდებოდეს ყველა კაპიტალისტურ წარმოებათა ნაციონალიზაცია. ეს ვადა მე მიმაჩნია გადიდებულად. კაპიტალიზმი იმდენად ვერ ეგუება მუშათა კლასის პოლიტიკურ ბატონობას, რომ ამდენ ხანს ვერ იარსებებს იგი მის ბატონობის დროს.

მაგრამ რამდენი ხანიც არ უნდა გაგრძელდეს გარდამავალი პერიოდი, ეჭვი არაა ნაციონალიზაციისთვის წარმოების სხვადასხვა ნაწილები მომწიფებულია და მომწიფდება სხვადასხვა დროს. ზოგიერთ მათგანში ის შეიძლება განხორციელდეს ამ წუთშივე, ზოგიერთში კი ძნელი სათქმელია, როდის მოხერხდება ეს.

აქციონერულ წარმოებათა ნაციონალიზაცია უფრო ადვილი იქნება, ვიდრე კერძო კაპიტალისტების წარმოებებისა. მსხვილების უფრო ადვილია, ვიდრე წვრილებისა. კარტელების წარმოებათაც უფრო ადვილად მოუხერხდებათ, ვიდრე თავისუფალი კონკურენციის წარმოებათ. იმ წარმოებათა ნაციონალიზაციაც უფრო ადრე მოხდება, რომლებიც შინაურ ბაზარზე მოქმედებენ, ვიდრე იმათი, რომლებიც საგარეო ბაზარს აკმაყოფილებენ. თითქმის უფრო ადვილი იქნება იმ წარმოებათა ნაციონალიზაცია, რომელთაც უკვე აქვთ განსაზღვრული ბაზარი, ვიდრე იმათი, რომლებიც ასეთების ძებნაშია, მათი, რომლებიც ჰქმნიან ერთნაირი ტიპის საქონელს, უფრო ადვილია, ვიდრე მათი, რომლებიც ჰქმნიან სხვადასხვა გვარ საგნებს და სხვ.

ეჭვი არაა, რომ პირველად შეიძლება მოხდეს ნაციონალიზაცია წარმოების ზოგიერთ ნაწილებისა, დანარჩენთა ექსპლოატაცია შეიძლება გაგრძელდეს კაპიტალისტური წესით. მაგრამ კაპიტალისტი წარმოებას არ გააგრძელებს, თუ მას უზრუნველყოფილი არ ექნა თავისი საკუთრება და მოგება. თუ იგი ეწევა წარმოებას, მან უნდა გაიღოს ახალი კაპიტალი, გადიხადოს სამუშაო ქირა, იყიდოს ნედლი მასალა და სხვა, მაგრამ გააკეთებს თუ არა ის ყველაფერს ამას, თუ ტარდება კონფისკაციის პრინციპი, თუ მას მუდამ თვალწინ უდგას, რომ მას ხვალ ან ზეგ ჩამოართმევენ წარმოებას სრულიად უფასოდ?

ბევრი ჰფიქრობს, რომ კაპიტალისტებს შეიძლება ძალდატანებით გავაგრძელებინოთ წარმოება, ტერორის საშუალებით. ტერორით შეიძლება გავაკეთებინოთ მხოლოდ მეტის მეტად უხეში სამუშაო. მონათა შრომის ერთი უარყოფითი მხარეთაგანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის ვერ მოთავსდება წარმოების ვერც ერთ უმაღლეს ფორმაში. შეიძლება მწარმოებელს მიუყენო ჟანდარმი, რომელიც მას გააგრძელებინებს წარმოებას. მაგრამ, როგორ შეუძლიან მას გააკეთებინოს საქმე გულიანათ და ანგარიშით. რაც უფრო სასტიკი იქნება ძალდატანება, მით უფრო უხალისოდ აწარმოებს საქმეს მწარმოებელი და მით უფრო მალე დაეცემა წარმოება.

სულ სხვა ხასიათს მიიღებს წარმოება, თუ კაპიტალისტი დაინტერესებული იქნება რაციონალურად დააყენოს წარმოება, თუ მას მხედველობაში ექნება, რომ, თუ ვინიცობაა ნაციონალიზაცია მოხდა, იგი მიიღებს მით უფრო მეტ საფასურს, რაც უფრო მაღლა იდგება მისი წარმოების ნაყოფიერება. და ეს სრულიადაც არ მიგვიყვანს საკუთრების გალმერთებამდე. თითქმის უფრო მიზანშეწონილ იქნებოდა, რომ კონფისკაცია ხდებოდეს, როგორც დასჯა, სხვადასხვა დამნაშავეთა საზოგადოების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობისათვის. ასე, მაგალითად, საჭიროა კონფისკაცია იმ პირთა ქონებისა, რომლებიც დამნაშავენი იქნებოდნენ მსოფლიო ომის გამოწვევაში. კერძო საკუთრება გოგენცოლერნებისა ან და გაბსბურგებისა უნდა მოხმარდეს იმას, რომ მცირეოდნათ მაინც შემცირდეს ომით გამოწვეული დანახარჯები. აგრეთვე საჭიროა კონფისკაცია იმათი ქონებისაც, რომლებმაც ომის დროს შეიძინეს დიდი კაპიტალები.

ბოლოს, საჭიროა მოხდეს კონფისკაცია იმათი წარმოებისაც, რომლებიც განგებ აჩერებენ წარმოებას, რომ დასცენ რევოლიუცია, მაგრამ ესეთი დასჯა, რასაკვირველია, იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალიზაციის გატარების დროს დაჯილდოვებულნი იქნებიან ის კაპიტალისტები, რომლებიც განაგრძობდნენ თავის წარმოების საქმეს.

ეკონომიურ მოსაზრებებიდან, რომ შეუწყვეტლივ მიდიოდეს წარმოება, აუცილებლივ საჭიროა მივიღოთ გამო ყიდვის პრინციპი ყველა წარმოებებისთვის, რომლის პატრონებსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვით.

მე გამოვდიოდი ამ დებულების დამცველად ჯერ კიდევ 1902 წელს ჩემს წიგნში: „სოციალური რევოლიუციის მეორე დღეს“, სადაც მე ჯერ კიდევ მაშინ ვარკვევდი ეხლანდელი მდგომარეობის კითხვებს. მაშინდელ ჩემ ამხანაგებში ყველაზე უფრო რადიკალებიც კი არ გამოვიდნენ გამოსყიდვის მოთხოვნილების წინააღმდეგ და არავის არ მოსვლია მაშინ აზრად ესაყვედურათ ჩემთვის, თითქოს მე გამოვდიოდე კაპიტალისტთა ფულების სკივრის დამცველად.

რასაკვირველია, საქმე ამაში არ არის. აქ ლაპარაკია არა იმაზე, დავინდოთ თუ არა ეს სკივრი, არამედ იმაზე, თუ როგორ მოვახდინოთ ნაციონალიზაცია: ვიხმაროთ თუ არა მის გატარების დროს პრიმიტიული ფორმები პირველყოფილ დროისა, რომლებიც ხორციელდება უხეში ძალდატანების საშუალებით, თუ მივმართოთ უფრო მაღალ და უკეთეს მეთოდებს, რომლებიც თანამედროვე ხანის მიერ არის გამომუშავებული?

კაპიტალისტთა ფულების სკივრმა, რასაკვირველია, უნდა გაიღოს ყველა ხარჯები გამოსყიდვისა, მაგრამ ეს უნდა დააკისროს მთელ კლასს და არა მარტო ზოგიერთ წევრებს. ხარჯები უნდა დაფარულ იქნეს მსხვილ შემოსავალზე, ქონებაზე, სამკვიდროებზე პროგრესიული გადასახადების დაწესებით. კონფისკაცია შეეხება ზოგიერთ კაპიტალისტებს სხვებს კი ხელუხლებლად დასტოვებს. გადასახადის დაწესება კი ნაციონალიზაციის მტრების მთელ სიმძიმეს აკისრებს არა ზოგიერთ პირებს, არამედ მთელ კლასს, იმის და მიხედვით, თუ მის წევრთ ვის რამდენი შეძლება აქვთ.

ამის გამო ნაციონალიზაცია გატარდება უფრო სამართლიან და უმტკივნეულო ფორმებში: ცალკე პიროვნებების ექსპროპრიაციის პროცესი უფრო დიდი ხნისთვის გადაიდება, სანამ ბოლომდე არ იქნება გატარებული სრული ნაციონალიზაცია. ცალკე პირებს უცბად არ ჩამოერთმევა მთელი მათი ქონება.

ჩვენთვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ ჩვენ ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციისთვის უფრო განათლებულ მეთოდებს მივმართავთ: გადასახადების დაწესების საშუალებას. კაპიტალისტთა კლასს კი დაე შერჩეს სამწუხარო უპირატესობა: ეს იგი იყო, რომ მიმართა მოღვაწეობის დასაწყისში, როცა ახდენდა კაპიტალების დაგროვებას, კონფისკაციას ძალდატანებითი და დამამცირებელი საშუალებებით.

პროლეტარიატის გამარჯვებით უნდა დაიწყოს ახალი და უფრო მაღალი ხანა კაცობრიობისა.

## მოხალისეთა ჯარის ვერაგული თავდასხმა

**ბრძოლა სოჭის ოლქში.**

(სამხედრო სამინისტროს ცნობა)

გაგრის შტაბის რაზმის უფროსი, როტმისტრი დოლიძე ატყობინებს სამხედრო მინისტრს: „მოხალისეთა ჯარი გამოვიდა ადლერი ან დილას. სოჭის მცხოვრებნი ჩვენი პოზიციის მიდამო-სოფლებიდან შეუერთდნენ მოხალისეთა ჯარს და ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან. ამ საათში მივიღე ცნობა, რომ ვესელოვსკის ხიდზე მოხდა შეტაკება ჩვენ ცხენოსან რაზმსა და მათ შორის. მოგვიკლეს ერთი ცხენი. ცხენოსნები არ დაშავებულა. მოწინააღმდეგეს ცხენოსნები უკუ ვაქციეთ.

**„ნაროდნოე ზნამია“ და გენ. დენიკინი.**

გუშინდელ „ნაროდნოე ზნამიაში“ სხვათა შორის შემდეგს ვკითხულობთ: „აშკარა სურვილი სოჭის ოლქის მცხოვრებთა არ ყოფილა იმისი, რომ მოხალისეთა ჯარის ძალაუფლება ეცნოთ. ის რეზოლიუციები, რომლებიც ყრილობებზე და მიტინგებზე იყო გამოტანილი, მოხალისეთა ჯარის საწინააღმდეგო იყო. სოჭის ოლქის ტერიტორიაზე მოქმედი პოლიტიკური პარტიები სთვლიდნენ-რა სოჭის ოლქს რუსეთის ტერიტორიის ნაწილად, საქართველოს ჯარების დაკავების დღიდანვე ისინი არჩევდნენ საქართველოს მთავრობის შედარებითი დემოკრატიზმს, ვიდრე გენ. დენიკინის შებღალულ სახელს, რომელიც ყველგან ამყარებს ძველ რეჟიმს. ეს რეზოლიუციებიც რომ სინამდვილეს არ გამოხატავდეს, გენ. დენიკინს არავითარი უფლება არ ჰქონდა შემოტევის დაწყებისა, მას შეეძლო საქმის მორიგებით გათავება. ამიტომ ჩვენ სასტიკათ ვკიცხავთ გენ. დენიკინის შემოტევას, რომელიც (დენიკინი) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის სახელმწიფოებრივობის მატარებლათ. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ შემდეგი წინსვლა დენიკინისა და საქართველოს წინააღმდეგ სახედრო ოპერაცია სასტიკ წინააღმდეგობას გამოიწვევს ყველა რევოლიუციონური პარტიების მხრით. ჩვენი პარტიის მიერ ამიერკავკასიაში წარმოებული საერთო ხაზის თანახმად, მიუხედავად ადგილობრივი მთავრობის ჩვენის მხრით უარყოფითი დამოკიდებულებისა, რომელმაც მოაწყო იანვრის საშინელებანი და ახალს გვიმზადებს, ჩვენ ამ ბრძოლაში მივიღებთ შეძლებისდა გვარათ მონაწილეობას საქართველოს მხარეზე და მთელს ჩვენს ძალ-ღონეს მოვახმართ, რომ აქ არ გამეფდეს რუსეთის რეაქცია“.

თუ „ლიკვიდაციის ჩინოვნიკების“ გაზეთი ასეთი ენით ლაპარაკობს, მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს, რამდენათ სასაშიშრო საქმეა ჩვენი ხალხისთვის გენ. დენიკინის შეარაღებული ლაშქარის შემოჭრა ჩვენში და მისი გამეფება.

## უკანასკნელი ცნობები

**ჩრდილო-კავკასიაში.**

ინგლისის მისიამ შემდეგი ცნობა გადასცა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს: ჩრდილოეთ კავკასიაში მოხალისეთა ჯარის სარდალი გენერალი ვრანგელი დეპეშით იუწყება დიდ გამარჯვებაზე. ბოლშევიკების დიდძალი ჯარი ჩრდილოეთ კავკასიაში სრულიად განადგურებულია და მანიჩის, კიზილიარის, გროზნოს და ვლადიკავკასის ხაზი სრულიად გაწმენდილია ბოლშევიკებისაგან. მათ მოუსპეს უკან დახევის საშუალება. უკან დახევა შეუძლიათ მხოლოდ ასტრახან-სარატოვის რკინის გზით. და თუ ეს გზაც გადუჭრა მათ მოხალისეებმა, ასტრახანის ბოლშევიკებს, ისედაც მცირედ, იმის მეტი არა დარჩებათ რა, რომ დაგვნებდნენ.

**მოხალისეთა ჯარი და ინგუშები.**

კავკავიდან მიღებულ ცნობით მოხალისეთა ჯარი მიადგა ინგუშთა სოფ. დოლაკოვოს (სადგურ ბესლანიდან 10 ვერსზე) და ინგუშთა ნაციონალურ საბჭოს წარუდგინა შემდეგი ულტიმატუმი:

1) ინგუშებმა იარაღი უნდა აიყარონ და ჩააბარონ მოხალისეთა ჯარს;

2) ყველა ის პირნი, რომელნიც მონაწილეობას იღებენ წითელ არმიაში, და ისინიც, რომელნიც საბჭოთა მთავრობის მომხრენი არიან, უნდა გადაეცეს მოხალისეთა ჯარს;

3) მოხალისეთა ჯარის რაზმები თავისუფლათ გაშვებულ უნდა იქნან ინგუშთა ტერიტორიაზე გროზნამდე;

4) ინგუშებმა უნდა აუნაზღაურონ თერგის ყაზახებს ყველა ის ზარალი, რომელიც ყაზახებმა ნახეს რევოლიუციის დროს;

5) ინგუშებმა თანხმობა უნდა განაცხადონ, 18—40 წლამდე მობილიზაციის მოხდენაზე და მათი რუსეთში გასაგზავნათ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ;

6) ინგუშებმა თანხმობა უნდა განაცხადონ რომ თერგის ოლქში გენერალ გუბერნატორათ ყაზახი დაინიშნოს.

ინგუშთა ნაციონალურმა საბჭომ ულტიმატუმის ყოველ მუხლზე უარყოფითი პასუხი გასცა. მაშინ მოხალისეთა ჯარმა სოფელ დოლაკოვზე დაიწყო შეტევა, მაგრამ უშედეგოდ. სამჯერ განახლდა ეს შეტევა, მაგრამ ინგუშებმა ყოველთვის მოიგერიეს, ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლი იყო. სოფელი დოლაკოვო სამი მხრიდან გარშემორტყმულ იქნა მოხალისეთა ჯარის მიერ და ცეცხლი წაუკიდეს მას.—სოფელი გადაიწვა. ბრძოლა გრძელდება.

**ბათუმში.**

მომავალ ქალაქის საბჭოს შემადგენლობა საბოლოოდ გამოირკვა: რუსებს მიეცა 19 ხმოსანი, აქედან 4 უკრაინელებს, ქრისტიან ქართველს 11, მაჰმადიან ქართველს 6, სომხებს—14, ბერძნებს—7 და ორ-ორი ებრაელებს და პოლონელებს.

მასლოვის თავხედობას საზღვარი არ უჩანს. მის განკარგულებაში კაცმა არ იცის სად თავდება კანონიერება და სად იწყება უკანონობა და თვითნებობა. ამგვარი არ გვანახავს და არ გაგვიგონია რუსეთის არც ერთ ბნელი რეჟიმის დროსაც.

5 თებერვალს ქობულეთში მოხდა დიდი კრება. ერთხმად გამოითქვა სურვილი საქართველოსთან ფართო ავტონომიით შეერთებისა. ამავე წინადადებით მიმართავენ აჭარლებს, მხარი დაუჭირონ მათ სამართლიან მოთხოვნას. ჩამოვიდა მთავრობის წარმომადგენელი აკაკი ფიღავა, რომელსაც მინდობილი აქვს ეროვნულ საბჭოს მიერ დადგენილება გიმნაზიის გახსნის შესახებ, რაც შეიძლება მალე სისრულეში მოიყვანოს. იმედია მეცადინეობა ამ ერთ კვირაში დაიწყება. ქვემო აჭარლები პროტესტს უცხადებენ ალი ჯაფარიძეს, რომელმაც მათის სახელით განაცხადა კრებაზე აჭარლების სურვილი რუსეთთან შეერთების შესახებ. ქართული საქველმოქმედო და მაჰმადიანი ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებები შეერთდა და დაერქვა სახელათ „სამუსულმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის გამგეობაში შედის სამი ქართველი ქრისტიანი და 6 ქართველი მაჰმადიანი. ჩამოვიდა ინგლისის ელჩი ტივენსი უკვე 5 დღეა აქ იმყოფება საქართველოდან მომავალი გერმანელთა მისია ფონ-კრესის მეთაურობით. ინგლისელები ჰპირდებიან სტამბოლში გაგზავნას. ელიან გემს.

## დამფუძნებელი კრების არჩევნები

**ვის მივცეთ ხმა?**

საქართველოს ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკა ემზადება დამფუძნებელ კრებისთვის. ამით მას უნდა თავისი სახელმწიფოებრივი წყობილება, თავისი მომავალი ბედ-იღბალი, ჩააბაროს მას, ვისაც ენდობა, დამფუძნებელი კრების ცხოვრებაში გატარება ფრიად მნიშვნელოვანი აქტია, ეს უდიდესი გამოცდაა ერის, აქ დაინახავს მთელი კაცობრიობა ჩვენი ხალხის ავ-კარგს, აქ გამოჩნდება—შეუძლია თუ არა ერს დამოუკიდებელი ცხოვრება.

დამფუძნებელი კრება შეიმუშავებს იმ ნორმებს, გამონახავს იმ გზებს, დააწესებს იმ წყობილებას, რომელთა საშვალებითაც ერის განვითარება, წინსვლა, მომავალი ბედნიერი ცხოვრებისაკენ უზრუნველყოფილი იქნება.

ძველი მთავრობის დროს დამფუძნებელი კრება ოცნება იყო ჩვენთვის და მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდით იმ დღეს, როცა ჩვენ შეძლება მოგვეცემოდა დამფუძნებელი კრება მოგვეწვია, მაგრამ იფეთქა რევოლიუციამ, დაამსხვრია ძველი ბორკილები, გაარღვია სულის შემხუთველი კედლები, გადალახა ყოველნაირი დაბრკოლება და დღეს ჩვენი ხალხი იმედიანად შეჰყურებს მომავალ დამფუძნებელ კრებას.

ახლა იბადება ჩვენთვის ფრიად საყურადღებო საკითხი: **რომელი პარტია უნდა ჩაუდგეს სათავეში დამფუძნებელ კრებას?**

ამ კითხვის გადაჭრაშია ჩვენი ბედნიერება და უბედურებაც.

აქ შეიძლება ჩვენ იმისთანა შეცდარი ნაბიჯი გადავდგათ, რომ სულ მთლად რევოლიუციის მონაპოვარი ერთ დღეს დავმარხოთ.

აქ შეიძლება ისიც, რომ, რაც მოპოვებული გვაქვს რევოლიუციის წყალობით, ის განვამტკიცოთ და დავადგეთ იმ გზას, რომელიც მიგვიყვანს საუკეთესო წყობილებამდე.

შეიძლება ისიც, რომ საქმე ისე ავრიოთ დავრიოთ, რომ მის გამოსასწორებლად ჩვენ ხალხს დასჭირდეს სისხლის ღვრა და კიდევ ბევრს ხანს ვერ დავეწყოთ, ვერ დავმშვიდდეთ.

და აი, ამისთვის ჩვენ გვჭირდება აქ, ამ საკითხში დიდი სიფხიზლე, დიდი მოფიქრება, ათასჯერ და ათიათასჯერ გაზომვა და ერთხელ გადაჭრა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! თქვენ თქვენის თვალით ნახული გაქვთ, რა მოხდა ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში, რამდენჯერ ბეწვზე ეკიდა ჩვენი ბედი, ჩვენი ქვეყნის მომავალი.

ჩრდილოეთის შავი აჩრდილი, სამოქალაქო ომი, ოსმალთა შემოსევა, შინაური არეულობა, დაშნაკელების ავანტიურა, სომხებთან ომი, დენიკინის შემოსევა და სხვა; მაგრამ მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებათა, ჩვენი ქვეყანა არსებობს და წარმოადგენს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელსაც სხვა დიდი ერები დღეს პატივისცემით ეპყრობიან და მისი დამოუკიდებლობას აღიარებენ.

ვის მიუძღვის იმაში ღვაწლი?

აი აქ საჭიროა ყოველმა ადამიანმა აწონდაწონოს იმ პარტიის მუშაობა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ასე შეინახა. გაითვალისწინოს ყოველივე მისი ღვაწლი და გადასწყვიტოს, რომელი პარტია არის ღირსი დღესაც დარჩეს დამფუძნებელ კრებაშიაც მეთაურათ.

თუ დღემდის ეს პარტია ასე პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, თუ მან ასეთ დროს, როცა ყველგან ანარქია სუფევს, როცა ჩვენ ირგვლივ თავი მოუყრია ბნელ ძალებს, ჩვენი ქვეყნის მოსასპობად, თუ ამ პარტიამ ამისთანა დროს შესძლო ხელმძღვანელობა, მით უმეტეს ეხლა, როცა საერთაშორისო ომი გათავდა, როცა მშვიდობიანობა დამყარდება, გზები გაიხსნება, ცხოვრება კალაპოტში ჩადგება, უეჭველია, რომ ეს პარტია დაგვაახლოვებს იმ ახალ ბედნიერ ცხოვრებასთან, რომლისაკენ მიილტვის კაცობრიობა.

ჩვენ რომ სამშვიდობო კონფერენციაზე ხმა გვქონდეს, რომ ჩვენი დელეგაციის სიტყვა მოისმინონ და მას ანგარიში გაუწიონ, საჭიროა დღევანდელი სოციალ დემოკრატიული პარტია დარჩეს კიდევ სათავეში, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია დაგვატყდეს დიდი უბედურება. მე მგონია, როგორც მე, ისე თქვენც დარწმუნებული ხართ ამაში დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობის მიხედვით, თუ არ გვჰყვებით პარტიულ ცინიანობას. თუ უკუ ვაგდებთ პირადი ინტერესებს, და ვიხელმძღვანელებთ საღი მოსაზრებით. თუ გულით შევინარჩუნოთ დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი დამოუკიდებლობა, ხმას მივცემთ ძმობა ერთობის, სოლიდარობის მქადაგებელ სოც.-დემ. მუშათა პარტიის სიას პირველ ნომერს!

ნ. ჭ.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

11 თებერვალი

**გერმანული პრესის ცნობები.**

პოლიტიკურ წრეებში მოელიან, რომ სახელმწიფოს პრეზიდენტათ აირჩევენ ებერტს, მინისტრ-პრეზიდენტათ, რომელსაც კვლავინდებურად სახელმწიფო კანცლერი ერქმევა, როგორც ფიქრობენ, აირჩევენ შეიდემანს.

ვეიმარში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეროვნულ ყრილობის მუშაობა დანიშნულ ვადაზე ამ თვეში ვერ დასრულდება. ამის გამო 11 აპრილს ამ ვადის გასვლის შემდეგ კვლავ შეიკრიბება ეროვნული ყრილობა ვეიმარის მაგიერ, ბერლინში.

მიუნხენში დააპატიმრეს სპარტაკელთა აგიტატორი დოქტორ ლევინი, რომელიც მოსკოვშია დაბადებული, მას ბრალს სდებენ სამოქალაქო ომის გამოწვევის ცდაში.

კილში საალყო წესები გამოცხადდა, რადგან სპარტაკელთა აჯანყება გრძელდება. ქალაქი მთავრობის ერთგულ ჯარის ხელშია.

ბრემენში ვერფის მუშებმა მოითხოვეს მთავრობის ჯართან სპარტაკელთა შეტაკების დროს დაპატიმრებულ მუშების განთავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვის

# დამფუძნებელ კრების საქალაქო საარჩევნო კომისიისაგან

საქალაქო საარჩევნო კომისია აცხადებს საყოველთაოთ, რომ, ვისაც დღემდე არ მიუღია პირადობის ბარათი, შეუძლია მიიღოს 12 და 13 თებერვალს 3—8 საათამდე შემდეგ ადგილებში, ხოლო არჩევნების დღეებში ყუთებთან საარჩევნო უბნებში.

1. პირველ კომისარიატის მოქალაქენი მიიღებენ საქალაქო შკოლაში, ოლღას ქუჩა სახლი № 52.
2. მეორე კომისარიატის—დარიბთა თავშესაფერში, ზუბალაშვილის სახლი, სასამართლოს ქუჩა.
3. მესამე კომისარიატის—პირველ ვაჟთა გიმნაზიაში, გოლოვინის პრ.
4. მეოთხე კომისარიატის—მანთაშევის ქარვასლაში, სომხის ბაზარი, № 62.
5. მეხუთე კომისარიატის—პუშკინის საქალაქო სკოლაში, არზრუმის მოედანი.
6. მეექვსე კომისარიატის—ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქუჩა.
7. მეშვიდე კომისარიატის—ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქ. № 1.
8. მერვე კომისარიატის—პირველ კომერ. სასწავლებელში, 19 თებერვლის ქ.
9. მეცხრე კომისარიატის—პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქ. № 29.
10. მეათე კომისარიატის—ზუბალაშვილის სახალხო სახლი, კიროჩნი ქ.
11. მეთერთმეტე კომისარიატის—ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქ.
12. მეთორმეტე კომისარიატის—რკინის გზის სამოქ. სასწავლებელში. შერემეტიევის ქ.
13. მეცამეტე კომისარიატის—საბურთალოს თეატრში.

საქალაქო საარჩევნო კომისია. (2—1)

გაგრძელებით იმუქრებიან. გადასწყვიტეს ვერფზე მუშაობა შესწყდეს.

ზემო სილეზიაში გაფიცვა შეიძლება გათავებულათ ჩაითვალოს. მუშაობა ყველგან განახლდა.

ბერნის სოციალისტურ კონფერენციაზე ჰოლანდიელმა ტრულსტრამ კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ელზასელმა მუშა ბრულბახმა მხარი დაუჭირა ელზას-ლორენში რეფერენდუმის მოხდენის საჭიროებას. მაგრამ რეფერენდუმი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ უნდა მოხდეს.

**ბოლშევიკების ცნობები**

**სამხრეთის ფრონტი.** დონეცის რაიონში დავიჭირეთ სადგური ნირკოვი. ესტრატოვის მიმართულებით, რკინის გზის ხაზზე შეტევას განვაგრძობთ, აღმოსავლეთით ჩვენ დავიჭირეთ გრ. კოვი, სტეპანოვკა, უსტ-მედვედიცკაია. უსტ-მედვედიცკაიაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები, ზარბაზნები და რამოდენიმე ათასი ყუმბარა. სადგურ არჩედასთან მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. კამიშინის რაიონში, არჩედინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მურავევსკაიას და ტიშინსკაიას ხაზი დაიჭირა. ცარიცინის რაიონში, არჩედინის მიმართულებით მოწინააღმდეგემ ჩვენი ჯარი შეავიწროვა. ცარიცინის დასავლეთით მოწინააღმდეგეს ჩვენ პოზიციებთან იერიში მოაქვს.

**ბერლინი.** თებერ. 2. გაზეთიდან იუწყებიან, რომ ინგლისის ქალაქი ბელფასტი მუშების ხელშია. სტრასბურგში საფრანგეთის საწინააღმდეგო მუშათა დემონსტრაციები გაიმართა. მუშები აღელვებული არიან სიძვირით და ხელფასის სიმცირით. **ვილნა.** თებერვლის 8. ინგლისს საფრანგეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, თუ რა მოსაზრებით გადასწყვიტა სამშვიდობო კონფერენციამ მოიწვია რუსეთის კომუნისტები პრინცის კუნძულებზე: საბჭოთა მთავრობის ძალა იზრდება. საბჭოთა მთავრობამ შეძლო შეედგინა ჯარი. რუსეთის გლეხობა მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობას. მოკავშირეების ჩარევის შიშმა შინაურ საქმეებში, საბჭოთა მთავრობის გარშემო თავი მოუყარა ზომიერ პარტიებსაც. **რიგა.** პარიზიდან მოსული უკანასკნელი ცნობები გვიჩვენებენ, რომ უკანასკნელი საპასუხო ნოტა გარეშე საქმეთა კომისარის პრინცის კუნძულებზე მიწვევის შესახებ ჯერაც არ გამოქვეყნებულა, მაგრამ მასზე ბევრს ლაპარაკობენ. ინგლისის გაზეთი „დეილი-მეილი“ სწერს: ჩიჩერინის პასუხი მოკავშირეების მიერ მიწვევის გამო შეთანხმების კილოზეა აგებული. როგორც ჩანს მოკავშირეთა სამეფოებს ბევრს უთმობენ, რაც საზავო კონფერენციას გაუადვილებს მუშაობას. თავის პასუხში ბოლშევიკური მთავრობა არა თუ გამოსთქვამს პრინციპიალურ თანხმობას ზოგიერთ რუსეთის ტერიტორიის მოკავშირეების მიერ ოკუპაციაზე, არამედ ალიარებს, რომ მდგომარეობა ამ ნაწილებში დარჩება ისეთი, როგორიც დღიმდის იყო.

# ახალი ამბები

რესპუბლიკის მოქალაქეთა და პრესის საყურადღებოთ. დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანია გაჩაღებულია და ჩემს მოვალეობათ ვთვლი მოქალაქეებს შემდეგი მოვაგონო: ვინც განზრახ ყალბ ცნობას გამოაქვეყნებს კანდიდატის პიროვნებისა ან მისი კერძო ცხოვრების შესახებ იმ მიზნით, რომ ნდობა დაუკარგოს მას ან მის მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციას, ან გაიყვანოს სხვა კანდიდატი—დაისჯება ციხეში ჩამწყვდევით ან დაჯარიმებით. ეს მოგონება იმან გამოიწვია, რომ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს კანონის ეს მოთხოვნილება და ამიტომ საარჩევნო ბრძოლის დროს წამოყენებულ კანდიდატის სახელის გატეხასაც არ დაერიდოს. ამის საბუთი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე არის. ერთ-ერთ წამოყენებულ სიის კანდიდატმა განცხადება შემოიტანა და მოითხოვს დაცულ იქნას ის, როგორც დამფუძნებელ კრების კანდიდატი პირადათ მასზე თავდასხმისა და შეურაცხყოფისაგან, რითაც მომჩივნის აზრით, სურთ მას სახელი გაუტეხონ ამომრჩევლების თვალში. ვაცხადებ რა ამას, მოქალაქეებს და პრესას ვსთხოვ მხედველობაში იქონიონ კანონის მოთხოვნილებები. დამფუძნებელ კრების ცენტრ. საპარლ. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე.

✦ **ახალციხის ფრონტზე** მტერთან ბრძოლის დროს გამოჩენილ გმირობისათვის ფრონტის სარდალმა გიორგის ჯვარით დააჯილდოვა მეორე საარტილერიო ბრიგადის პირველი ბატარეიის ფეიერვერკერი გ. როდონფინოვი და ს. ფ შალიშვილი.

✦ **საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა** აცნობა სომხეთის სამშვიდობო დელეგაციას, რომ 15 თებერვლიდან სომხეთსა და საქართველოს შუა აღდგენილი იქნება ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა.

✦ **მკვლელობა.** 10 თებერვალს, ნაშუადღევის 8 საათზე დუნიამალოს ბინაზე, ბებუთოვის ქუჩა № 56, შეიჭრენ რამოდენიმე უცნობი და მხეცურათ მოკლეს ამ დროს სახლში მყოფი ორი ქალი ვართანუშ 18 წლისა და ვარსენიკ 13 წლის. ბოროტმოქმედებმა წაიღეს 70,000 მანეთი და მიიმალნენ. ეჭვი შეაქვთ, რომ მკვლელობა და ძარცვა ჩაიდინეს დუნიამალოვის ახლო ნათესავებმა.

✦ **ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი** აუწყებს მუშებს, რომ 12 თებერვალს, დილის 7 საათზე დანიშნულია კავშირის წევრთა კრება სტალიართა ცეხში. დღის წესრიგი: დენიკინის ჯარის შემოსევა და დამფუძნებელი კრების არჩევნები. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ალ. ლომთათიძე.

✦ **თფილისის სამაზრო ერობამ** წინადადება მისცა ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების პრეზიდიუმს შეედგინა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ერობა და ტეხნიკა საქართველოში“. მოხსენება უკვე შედგენილია და იქნება წაკითხული ამა წლის 13 თებერვალს, საღამოს 6 საათზე (დიდი მთავრის ქუჩა № 70 რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელში). ამ კრებაზე გაირჩევა ძირითადი დებულებანი მოხსენებისა. ვინაიდან თემა ფრიად დიდმნიშვნელოვანია, საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ტეხნიკების დასწრება.

✦ **მეექვსე რაიონულ კოლექტივის** საუბნო საარჩევნო კომისიები აცხადებენ პარტიის წევრების საყურადღებოთ, რომ მათ აქვთ თითოეულ უბანში განსაკუთრებული ბიურო არჩევნების შესახებ ყოველგვარ ცნობების მიწვდენით. ასეთი ბიურო მე-4 სამილიც. უბნისათვის მოთავსებულია სახელოსნო სასწავლებლის შენობაში და ღიაა ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. მე 5 სამილიციო უბნისათვის მოთავსებულია ორთაჭალის სახალხო გვარდიის შენობაში (სოფიის ქუჩა) ღიაა დილის 10—1 საათამდე, საღამოს 4—7 საათამდე. ამ დანიშნულ დროს წევრებს შეუძლიანთ ყველა გაუგებარი მხარეები არჩევნებისა გაიგონ.

✦ **ქართული კლუბის თეატრში** ოთხშაბათს, თებერვლის 12-ს სტუდიის წარმოდგენაა № 5 მეორედ: ვითა ფოთლები.

**კრებები**

დღეს, 12 თებერვალს, საღამოს 4 საათზე სახელოსნო სკოლის შენობაში შესდგება მე 4 უბანში მცხოვრებ ს. ს. დ. მ. პარტიის წევრთა და თანაგრძნობთა საზოგადო კრება, მოხსენებას გააკეთებენ საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ პარლამენტის წევრი ოლ. სოლოღაშვილი და ი. ირემაშვილი.

— ხუთშაბათს 13 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე მუშათა კლუბში „ავლაბარ პალასში“ შესდგება საზოგადო პარტიული კრება. ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

— დღეს, 12 თებერვალს, შესდგება მესამე რაიონის კოლექტივის არაჩვეულებრივი კრება საღამოს 5 საათზე.

დღეს, საღამოს 5 საათზე მეორე კომერციულ სასწავლებლის სადგომში, ჩუღურეთში მცხოვრებ პარტიის წევრების კრებაა.

**პროვინციის ქრონიკა.**

— **ზემო ავჭალა.** დღეს, 12 თებერვალს, საღამოს 5 საათზე სოფ. ზემო ავჭალაში მოწვეულია საზოგადო ყრილობა. ყრილობაზე გარკვეული იქნება საქ. დამფუძ. კრების მოწვევა და მისი მნიშვნელობა. ყრილობაზე ყველა პარტიათა წარმომადგენელთ შეუძლიათ დაესწრონ.

# ქალაქის საბჭო

11 თებერვლის სხდომა.

ქალაქის თავი, ხსნის რა კრებას, განახლებულ საბჭოს სხდომას შემდეგი სიტყვით მიმართავს:

**ბ. ელიავა.** ვაცხადებ რა პირველ სხდომას გახსნილათ, ნება მიბოძეთ მოგილოცოთ ის ნდობა, რომლითაც აღგჭურვათ თქვენ ქალაქის დემოკრატიამ.

საბჭოს შემადგენლობა ამტკიცებს, რომ დღესაც ჩვენმა დემოკრატიამ ქალაქის საქმეები ჩააბარა იმ წრეებს, რომლებსაც აბარათ დღემდე. არჩევნები მიმდინარეობდა ისე, რომ დემოკრატიას შეძლება ჰქონდა გამოეხატა თავისი ნებისყოფა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს მათ, ვინც დაინტერესებული იყო ჩვენი რესპუბლიკის გამაგრებით და ვინც ჩვენი ქვეყანა მიიყვანა არსებულ მდგომარეობამდე—რესპუბლიკის განმტკიცებამდე. წარსული წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა: საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გადაიქცა, თფილისი სატახტო ქალაქად გახდა და, რასაკვირველია, შესაფერი ცვლილებებიც უნდა მომხდარიყო. თვით ამომრჩეველთა რაოდენობა ამტკიცებს, რომ საბჭოს აქვს სრული უფლება სთქვას, რომ ის არის მცხოვრებთა წარმომადგენელი. არჩევნების მიმდინარეობამ დაამტკიცა, რომ ჩვენი დემოკრატია ფხიზლად შეხვდა არჩევნებს. 36 ათასმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში ესე იგი, 50%. წარსული არჩევნები მოხდა ზაფხულში, ეს ის დრო იყო, როდესაც ყველა მოქალაქე აღფრთოვანებული იყო რევოლუციის მონაპოვარით, ყველა აქტიურ მონაწილეობას იღებდა აღმაშენებლობით მუშაობაში და თუ დღეს გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არჩევნები მოხდა ზამთარში, იმ დროს, როდესაც ქალაქში ათასგვარი გადამდები სენი მძვინვარებს, მაშინ მგონი უნდა დამეთანხმოთ, რომ პროცენტი აბსენტეიზმისა არ არის არც ისე დიდი, როგორც ეს ბევრს ჰგონია. 36 ათას მოქალაქისაგან არჩეულ საბჭოს თავისუფლად შეუძლიან სთქვას, რომ ის არის სრულ უფლებიანი წარმომადგენელი დემოკრატიისა. არის ერთი გარემოება, რომელსაც თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო. ერთი ეროვნების საგრძნობმა ნაწილმა არ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. თავიანთ ხელმძღვანელების წყალობით ზოგიერთნი დიდობდნენ აქტიური ბოიკოტიც ეწარმოებინათ არჩევნების წინააღმდეგ. მაგრამ ეს არ მოხერხდა. ამ მხრივ ჩვენს საბჭოს ნაკლი აქვს, მაგრამ თქვენი შემადგენლობა ნებას მაძლევს გამოვსთქვა იმედი, რომ ჩვენ საბჭოში ანტინაციონალურ პოლიტიკას ადგილი არ ექნება, დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოს უმრავლესობა ერთგვარის ინტერესით მოეკიდება ყველა ერთა ინტერესებსაც და აქ არავითარი გარჩევას ადგილი არ ექნება. ვფიქრობ ამას და ახლო მომავალიც დაარწმუნებს მათ, ვინც ბოიკოტს აწარმოებდა, რომ მათი მოსაზრება შემცდარი იყო.

გარდა ამისა, მინდა მოგახსენოთ, რომ მძიმე მომენტში გვიხდება ქალაქის საქმეების მიღება. წინანდელმა საბჭომ სავსებით ვერ სძლია და ვერ გადასწყვიტა ყველა მუნიციპალური კითხვები. ხარჯები იზრდებოდა, შემოსავალი ნაკლები გვქონდა და ყოველივე ხარჯებს ქალაქი თავის შემოსავლით ვერ ფარავდა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი რესპუბლიკა შეძლების დაგვარათ დახმარებას უწევდა ქალაქს. დღეს ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა მეტად მძიმე არის, შეუდგებით რა თქვენ მოვალეობის აღსრულებას, გაიცნობით საქმეს და იმედი მაქვს პირნათლად გამოხვალთ ამომრჩევლების წინაშე. მეორე კითხვა, რომელსაც მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება, არის ახალი კანონის გატარება—გაეროვნების შესახებ. დღეს ჩვენ პირველად გვიხდება სახელმწიფო ენაზე ლაპარაკი აქ საბჭოში. წინათ თფილისი რუსეთის ქალაქათ ითვლებოდა და რუსულ ენაზე აწარმოებდა ქალაქი თავის საქმეებს. არსებული კანონი მოითხოვს ყველა საქმეების ქართულ ენაზე წარმოებას. წინანდელი გამგეობა ცდილობდა რა განეხორციელებინა ეს კანონი, მხედველობაში იღებდა მას, რომ ეს ისე გაეტარებინა, რომ თანამშრომლებს ნაკლებ მტკივნეულად ეგრძნოთ. მიწერ-მოწერა სხვა დაწესებულებებთან სწარმოებს სახელმწიფო ენაზე, გამგეობამ სავალდებულოთ გახადა, რომ სახელმწიფო ენაზე შემოსულ ქაღალდზე პასუხი ამავე ენაზე გაეცა, მე იმედს გამოვსთქვამ, რომ ის ხაზი, რომელსაც ჩვენ ვატარებდით, მიღებული იქნება და კანონი ისე იქნება გატარებული, რომ იგი ცხოვრებას შეუთანხმდება. უნდა გამოინახოს ისეთი ხაზი, რომელიც შეძლებას მოგვცემს, რომ კადრი ჩვენთვის ძვირფას მუნიციპალურ მოღვაწეებისა არ შემოგვეფანტოს. თანამშრომელთა ნაკლზე ბევრს ლაპარაკობენ, მხოლოდ აღსანიშნავია ის, რომ ბევრი ღირსეული მოსამსახურენიც გვყავს. ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ძველი საბჭოს შემადგენლობა კომის. ნაკლებად მუშაობდა და საგრძნობელ დახმარებას არ უწევდა გამგეობას. იმედი მაქვს, რომ თქვენი კომისიები ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას. იმედი მაქვს, რომ თქვენი შრომა სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება დემოკრატიისთვის და სავსებით გაამართლებთ იმ იმედებს, რომელსაც თქვენზე ამყარებენ. სიტყვის დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ თანახმად 48 მუხლისა, ქალაქის დებულებისა ხმოსნებმა უნდა მიიღონ ფიცი, რომ ისინი ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ყოველ შეუწყობენ ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცებას.

ამის შემდეგ ხმოსნებმა ტექსტს ხელი მოაწერეს.

**პრეზიდიუმის არჩევა.**

ჰ. კახიანის წინადადებით, რომელიც ერთხმად მიიღეს, პრეზიდიუმი სამი პირისაგან შესდგა. თავმჯდომარე, მისი ამხანაგი და მდივანი. ჯამაგირი თავმჯდომარეს დაენიშნება თვეში 1000 მან. მდივანს—2000 მან.

ფარულ კენჭის ყრით თავმჯდომარეთ აირჩიეს ალ. ლომთათიძე. მიიღო 55 თეთრი და 7 შავი. თავმჯდომარის ამხანაგათ ალ. მდივანი. (ს. ფ.) 54 თეთრი და 8 შავი. მდივნათ ვ. ხახანაშვილი 59 თეთრი და 3 შავი.

თავმჯდომარის ადგილი დაიკავა ალ. ლომთათიძემ, რომელსაც მთელი დარბაზი ტაშის ცემით შეხვდა.

**ალ. ლომთათიძე.** მოქალაქენო! ნება მომეცით გულწრფელი მადლობა გამოვსთქვა იმ ნდობისათვის, რომლითაც მე აღმჭურვეთ თქვენ. მე მზათ ვარ მთელი ჩემის ძალღონით ვემსახურო ჩვენი რესპუბლიკის დედა ქალაქს, ხალხს, დემოკრატიას და იმედს გამოვსთქვამ, რომ იმ საშინელ განსაცდის დროს, როდესაც საქართველო გარშემორტყმულია მტრებით, საბჭო და მისი ნდობით აღჭურვილი დემოკრატია მთელ თავის ფიზიკურ ძალას მოაკრებს, რომ რევოლუციის მონაპოვარნი შეინარჩუნოს, საბოლოოთ განამტკიცოს იგი, გადაარჩინოს დაღუპვისაგან ჩვენი რესპუბლიკა, და მიიყვანოს იგი უკეთეს მერმისამდე.

დღეს ისეთ მომენტში ვცხოვრობთ, რომ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. პრეზიდიუმი აღმასრულებელ ორგანოსთან ერთად მთელი თავისი ენერგიით ეცდება თავი დააღწიოს იმ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, მაგრამ მარტო აღმასრულებელ ორგანოს არ შეუძლიან ღირსეულად შეასრულოს თავისი მოვალეობანი, უკეთუ მას თქვენ არ დაეხმარებით. იმედი მაქვს, თქვენ გამგეობასთან ერთად, შეერთებული ძალით დაიცავთ მცხოვრებთა ინტერესებს, დახმარებას გაუწევთ ჩვენ რესპუბლიკას, რომლის მდგომარეობაც დამოკიდებულია მოქალაქეთა კეთილდღეობაზედაც. ერთხელ კიდევ მოგახსენებთ მადლობას იმ ნდობისთვის. რომლითაც მე აღმჭურვეთ და სანამდის დღის წესრიგზე გადავიდოდეთ, უნდა მივაპყრო თქვენი ყურადღება იმ პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელსაც განიცდის დღეს საქართველო.

საბჭომ უნდა აწონ-დაწონოს ეს მდგომარეობა, გამოაშკარავოს აქ თავისი შეხედულება და ერთგვარ გარკვეულ გზას დაადგეს. მე მოკლეთ მოგახსენებთ იმ მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით. მოქალაქენო, თქვენ იცით, რომ სოჩის ოლქი ჩვენი რესპუბლიკის მიერ დროებით იყო დაკავებული, თუ არ გადაჭრილი სურვილი მცხოვრებლებისა, რომ მათ სურთ საქართველოს ჯარებს ეკავოს ეს ოლქი, ჩვენი ჯარი გამოყვანილ იქნებოდა იქიდან. სწორეთ მცხოვრებთა სურვილის თანახმათ ჩვენი ჯარი იქ იმყოფებოდა. ამ რამდენიმე ხნის წინათ გავიგეთ, რომ დენიკინის ჯარი რაღაც ფაცი-ფუცში იყო. მთავრობამ იცოდა, რომ დენიკინის ჯარი არ გადასდგამდა ისე რაიმე ნაბიჯს, რომ არ შეეტყობინებინა ეს მოკავშირეთა მთავარ სარდლობისათვის. ჩვენ ვიცით, რომ მოხალისეთა ჯარს სურსათი და ყოველისფერი მასალა მისდის მოკავშირეებისაგან. ჩვენმა მთავრობამ მიმართა მოკავშირეთა მთავარსარდლობას კითხვით, როგორ შეხვდება ის დენიკინის მიერ რაიმე აგრესიულ ნაბიჯებს ჩვენ წინააღმდეგ გადმოდგმულს. ოფიციალური პასუხი მთავარ სარდლობისა იყო ის, რომ დენიკინის ჯარი არავითარ აგრესიულ ნაბიჯებს არ გადასდგამს ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ და დღეს უკვე იცით, რომ დენიკინის ჯარი წინ მოიწევს და მგონი ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო იმის შესახებ, თუ რა მოაქვს მას ჩვენი რესპუბლიკისათვის. შავი რეაქცია, სისხლის წვიმები, დაღუპვა ჩვენი დემოკრატიისა, თუ მართლაც მათ წინსვლას ფართო ასპარეზი მიეცა. მე მგონია საჭიროა ერთი მომენტი აღინიშნოს, სანამ მოკავშირეთა ჯარები ეგმოვიდოდენ აქ, მშვიდობიანობა და მყუდროება სუფევდა. მათი შემოსვლა და ორ მოძმეთა შორის ომის ატეხა ერთი იყო. ორი თვეა, რაც რამოდენიმე ფრონტის მოწამენი ვართ და ეხლა ახალი ფრონტი გაგვიჩნდა სოჩის ოლქში და ის მდგომარეობა, რომელიც სუფევს დღეს ბათუმში, დამაფიქრებელია იმისი, რომ შეიძლება მოწამენი გავხდეთ ჩოლოქის ფრონტის. გავითვალისწინოთ ის, რაც ხდება ახალციხის მაზრაში, სადაც ხალხი აცხადებს, რომ ის იარაღს არ აისხამს საქართველოს წინააღმდეგ და მიუხედავად ამისა „ბანდები“ განაგრძობენ წინ სვლას, ხედავს თუ არა ყველა ამას მოკავშირეთა სარდლობა და იცის თუ არა მან ეს? და, როგორ უნდა გავიგოთ ის ოფიციალური განცხადება, რომ მათ სურთ ანარქიის მოსპობა და მშვიდობიანობის დამყარება ყველგან. როგორ გავიგოთ ის, რომ ერთი კვირის წინათ ჩვენ მთავრობას ოფიციალურათ შეატყობინეს ბრიტანეთიდან, რომ იქ ჩვენ დამოუკიდებლობას სიმპატიით ეპყრობიან და მას დაიცავენ საზავო კონფერენციაზეო. მაგრამ, სამწუხაროთ, სინამდვილე სულ სხვა რამეს გვეუბნება. რადა ეხლა, რაც ეს სახელმწიფო შემოვიდა, აირ-დაირია ჩვენი საქმე? სომხეთთან ომის დროს მათ განაცხადეს,—მთელმა ევროპამ ომი შესწყვიტა და ეხლა ორი პატარა სახელმწიფო ერთმანეთს ეომებაო. ჩვენ ამას ვერ შევურიგდებით და მოვითხოვთ ომის შეწყვეტასო. ასეთი იყო მათი ოფიციალური განცხადება, მაგრამ სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება. ჩვენ გვინდა გავიგოთ: მართალია თუ არა ის, რაც თქმულა დიდი ბრიტანეთის მიერ. მართალია თუ არა ის, რომ ვილსონის პროგრამის მეთოთხმეტე მუხლი დაცული იქნება, რომლის ერთ მუხლთაგანში ნათქვამია მცირე ერებისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება. ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ, როგორია არის მათი პოლიტიკა. დემოკრატიას არ შეუძლია ბრმა იარაღათ იყოს, იმ დემოკრატიას, რომელსაც დაუმტკიცებია სიბრძნე, თავის მომზადება, განვითარება და მგონია მე არ შევცდები, თუ დღეს ასეთ საკითხს დავსვამთ: რა ქვიან იმ პოლიტიკას, რომელსაც აქ აწარმოებენ, ბრიტანეთის იმ პოლიტიკას, რომლის კონსტიტუციაზედაც აღიზარდა არა ერთი და ორი ერი, როგორც ევროპისა, ისე აზიისა. ამ კითხვის გაშუქებას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი მთავრობისათვის, რადგანაც, თუ დაჭირდება ომი, ჩვენ ყველანი ერთად ღირსეულ პასუხს გავცემთ, როგორც მტერს ისე მოყვარეს (ტაში).

მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციათა წარმომადგენლებმა, რომლის ანგარიშსაც ხვალ მოვიყვანთ. კამათის დასასრულ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„საქართველოს რესპუბლიკის დედა ქალაქის, თფილისის საბჭო ახლად არჩეულ ათი თებერვლის სხდომაზე, მოისმინა რა მოხსენება დენიკინის ჯარის საქართველოს ჯარებზე თავდასხმის შესახებ დაადგინა:

1) დენიკინის ჯარების საქართველოს წინააღმდეგ გადაშლება ნიშნავს შავი რეაქციის გამოლაშქრებას დემოკრატიის და დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ რევოლუციის მონაპოვართა მოსასპობათ და დემოკრატიის პოლიტიკურათ და ფიზიკურათ გასანადგურებლათ. საბჭო მოუწოდებს თფილისის მთელ დემოკ. განურჩევლათ ეროვნებისა შემოკრბენ თავისუფლების დროშის ქვეშ და შავრაზმელთა შემოსევას მთელი თავისი ძალღონით შეებრძოლება. ამასთანავე საბჭო ითხოვს მთავრობისაგან ერთხელ და სამუდამოთ მკაფიოდ გამოარკვიოს მოკავშირეთა როლი საქართველოს საზღვრებზე მტერთა შემოსევისა და არეულობის საქმეში, რომ თფილისმა დროზე გაიგოს ვისთან ჰქონდეს საქმე და რანაირ დამოკიდებულებაში უნდა ვიყოთ შემოსულ უცხო ძალასთან“.

(დასასრული იქნება).

# ს.-დემ. პარტიაში

**მეხამე რაიონის პარტიის წევრთა საყურადღებოთ.**

ამხანაგებო! მას შემდეგ, რაც თფილისის მუშები პოლიტიკური ბრძოლის ფერხულში ჩაებნენ და მათში ფეხი მოიკიდა სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, მესამე რაიონი „ავლაბარი“ ყოველთვის ითვლებოდა ჩვენი პარტიის ერთ ქვაკუთხედათ. ეს რაიონი შავი რეაქციის დროსაც კი არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვა დანარჩენ რაიონებს. დღეს კი, როდესაც რუსეთის რევოლუციამ პოლიტიკური თავისუფლება მოგვანიჭა, ჩვენი პარტია სარდაფებიდან მზეზე ამოვიდა და ხელი მოჰკიდა ფართო პარტიულ მუშაობას, ჩვენი დიდი მიზნების განსახორციელებლათ წინეთ სასიქადულო რაიონი შესუსტდა და კრიზისს განიცდის. ამ რაიონში ირიცხება სულ 60,000 მცხოვრები. მათში 90% დემოკრატიის შეადგენს. ჩვენი პარტიის წევრთა რიცხვი ამ რაიონში ორი ათასამდე ძლივს აღწევს, ისიც დიდ უმრავლესობას რკინის გზის მუშები შეადგენენ.

მთელ მუშაობას აწარმოებენ და ხელმძღვანელობენ რკინის გზის მუშები და სხვა რაიონებიდან ეხლახან გადმოსული ამხანაგები, რომლებიც სტუმრებივით არიან ამ რაიონში პირველნი—სიშორით და მეორენი ადგილობრივი ხალხის და პირობების უცოდინარობით.

ძველი პარტიული ამხანაგები რაიონს არ ეკარებიან, ისინი გაფანტულნი სხვა რაიონებში და იქ ეწევიან პარტიულ მუშაობას. თავისი რაიონი მათ დღეთის ანაბარათ დაუტოვებიათ, რაც აწყენს პარტიული მუშაობის

შესუსტებას, ადგილობრივი რაიონის დაქვეითებას.

ეს ხდება მაშინ, როდესაც ყველაზე უფრო საჭიროა ადგილობრივი ძალების თავის მოყრა, და პარტიაზე ყოველ მხრივ მოტანილ იერიშების მოგერიება.

ქალაქის საბჭოს არჩევნები ძველი გამოცდილი ამხანაგების დახმარებლათ ჩატარდა, დამფუძნებელი კრების არჩევნები კარზე გვადგია. ამ არჩევნებში მონაწილეობას იღებს ჩვენი მოსისხლე მტერი დაშნაკელები, ამ რაიონში მათ შედარებით დიდი გავლენა აქვთ. საჭიროა მთელი ჩვენი ძალების მობილიზაცია. საჭიროა ჩვენი ძველი გამოცდილი ამხანაგების დახმარება, მათი ავტორიტეტი და მათი ხელის შეწყობა. ადგილობრივი საზოგადოება მათ იცნობს და უჯერის, ისინი კი ასეთ საპასუხისმგებლო დროს არსად სჩანან. მათი უმრავლესობა მუშაობს იქ, სადაც უფრო იოლი სამუშაოა, სადაც მტერი უფრო სუსტია.

ასეთ არა ნორმალურ მდგომარეობას უნდა ბოლო მოეღოს. მესამე რაიონში მცხოვრები ამხანაგები უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ რაიონს, დაეხმარონ მას ჯერ არჩევნებში და შემდეგ კი ხელი შეუწყონ პარტიული მუშაობის გამოცოცხლებას და მის ჯეროვან ნიადაგზე დაყენებას.

ამხანაგებო! მოხედეთ თქვენს რაიონს, დაუკავშირდით მას, შემოკრბით მის გარშემო, ამოძრავდით და აამოძრავეთ თქვენი მეზობელი მრავალ რიცხოვანი მუშები და დემოკრატია. ეს რაიონი ჩამორჩენილია პოლიტიკურათ, კულტურულათ და ეკონომიურათ, სამაგიეროთ მასში ბევრია ცოცხალი ძალები, საჭიროა ამ ძალების გამოძებნა, მათი ამოძრავება.

შალ. აბდუშელიშვილი.

P. S. ოთხშაბათს, 12 თებერვალს, საღამოს 5 საათზე რაიონის ბინაზე „კახეთის ქუჩა, კლუბი“ დანიშნულია რაიონ. კოლექტივის კრება. 13, საღამოს შესდგება საერთო პარტიის წევრთა კრება. ვთხოვ ამხანაგებს გამოცხადდნენ ამ კრებაზე და დაგვეხმარონ.

**თფილისი.** 1919 წ. 7 თებერვალს შესდგა მესამე რაიონის ნავთლუღის უბნის მუშა-მოსამსახურეთა სოციალ-დემოკრატიული კრება. დაესწრო 300 კაცამდე, ნესტორ იმნაიშვილის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება მომენტზე და დამფუძნებელ კრების არჩევნებზე, 2) ახალ მცირე კოლექტივის არჩევა და მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ხარტიშვილმა, რომელმაც ფართოდ აუხსნა დამსწრეთ მიმდინარე მომენტი და დამფუძნებელი კრების არჩევნები.

აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ დადგენილება ერთხმად იქნა მიღებული. „მოვუწოდებთ ყველა ამხანაგებს და ჩვენი პარტიის თანამგრძნობთ, ხალხის მოკეთეთ, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში, რომ ერთხელ კიდევ სამუდამოთ დავუმტკიცოთ მთელ ქვეყნის მუშა ხალხს და მუშა ხალხის მტრებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში მცხოვრები მშრომელი ხალხი მტკიცედ ვიცავთ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მცირე კოლექტივის წევრებათ არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: სიო ქლენტი, ნესტორ იმნაიშვილი, სპირიდონ შუბლაძე, ივანე ნადირაშვილი, გ. ბერიკაშვილი, ვ. ჰანჯავიძე, სერგო ქლენტი, ლომთათიძე, ჯანელიძე, კახიანი, ს. აბულდიანი. კანდიდატები: ი. ბახტაძე, ი. ცომაია, კოპალეიშვილი. გ. ქსოვრელი, ი. წილოსანი, მ. აგლაძე, დ. შარაშიძე, ნ. ტატიაშვილი.

მდივანი ხ. შუბლაძე.

# მუშათა შორის

**თფილისი.** კვირას, 9 თებერვალს მოხდა თფილისის და მისი რაიონის მებადეთა კრება. დღის წესრიგში იყო: 1) თანამედროვე საკითხი, 2) დამფუძნებელი კრება; 3) არჩევნები. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა კავშირის თავმჯდომარემ ბასილაშვილმა. კრებას გააცნო 8 თებერვალს სახალხო სახლში გაკეთებული ამხ. ლომთათიძის მოხსენება—თუ რა პოლიტიკას აწარმოებს ინგლისის მისია საქართველოში, როგორ გვესხმიან თავს ყოველი მხრიდან ყვავ ყორნები და ლამობენ ჩვენი თავისუფლების გადაყლაპვას, მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდებიანო. შემდეგ დასძინა: რომ მუშათა კლასი მზათ უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში, რომ სისხლით მოპოვებული თავისუფლების დროშა არავინ შებღალოსო.

მოისმინა რა მოხსენება კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) თფილისის მებადეების კავშირი სრულ ნდობას უცხადებს მთავრობას და აღუთქვამს ყოველივე დახმარებას; 2) ეთხოვოს მთავრობას, რომ, რადგან დენიკინს თფილისში ბევრი თანამგრძნობი ჰყავს, თფილისი გაიწმინდოს მავნე ელემენტებისაგან. 3) რადგანაც მთელი რევოლიუციის სიმძიმე აწვება დემოკრატიას, როგორც ფიზიკური ისე მატერიალური, ამისთვის მოხდეს თფილისში იძულებითი მობილიზაცია 20—35 წლამდე. ჩვენ ვიცით, რომ ვაჭრები, რომელნიც ყვავ ყორანივით თფილისს და მის დემოკრატიას თავს თასჩხავიან და გარდა თავის ინტერესებისა არაფერს ყურადღებას არ აქცევენ. ასე ცხოვრება მათთვის კარგია და თუ ძველი მოვა უფრო უკეთესიც იქნება. მობილიზაცია უნდა უწევდეს ყველა ქვეშევრდომით, რადგანაც საქართველოს რესპუბლიკა, განსაკუთრებით თფილისი, მოსულ მყვლეფავთა ბუდეთ გადაქცეულა. 4) ეთხოვოს მთავრობას დაგვირიგოს იარაღი. ჩვენ მზათა ვართ, თუ საჭირო იქნება, როგორც ხნიერები, კარგათ გამოვდგებით წესიერების დასაცველად და ყარაულშიაც, რასაკვირველია უჯამაგიროთ. 5) კრებამ დაადგინა, რომ ეცადონ ყველანი, რათა დამფუძნებელ კრებაზე ყველა მებადე გამოცხადდენ ყუთებთან, ხელი შეუწყონ № 1 გამარჯვებას, რადგანაც სამშობლოს დახსნა ამ პარტიას შეუძლიან, როგორც აქამდინ, ისე შემდეგში. ჩვენს მტრებს უნდათ დამფუძნებელი კრების ჩაშლა, რომ მიწის საკითხი უკუღმა შეტრიალდეს.

—ლი.

# პროვინცია

**დ. ჩხარი.** 7 თებერვალს დ. ჩხარში მოწვეულ მრავალრიცხოვანმა გლეხთა ყრილობამ—მოისმინა რა მოხსენება რ. ჩიხლაძისა ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობისა და დამფუძნებელი კრების შესახებ, დაადგინა: მიიღოს მხურვალე მონაწილეობა არჩევნებში, გაჰყვეს ს. დ. მუშათა პარტიას და ერთხმათ გაათეთროს ამისი № 1.

ყრილობის თავმჯდომარე ვ მერკვილაძე.

**ფოცხო** (სენაკის მაზრა). ეს საზოგადოება ახალ-სენაკიდან 25 ვერსითაა მოშორებული. თავის ოღრო-ჩოღრო გზების გამო ცენტრს მოწყვეტილი და ჩამორჩენილია. არავითარი კულტურული საზოგადოებრივი დაწესებულება აქ არარ არსებობს.

ჟურნალ-გაზეთების მაგიერობას ხშირად ჰქრიკანა მატყუარები ასრულებენ და მცხოვრებთა ნაწილი სრულიად შეუსაბამო და თავ დან ბოლომდე სიმართლეს მოკლებულ ცნობებით იკვებებიან.

ამას წინეთ აქ ვიღაცეებმა ხმები გაავრცელეს: დენიკინის ჯარმა ფოთი ჩაიბარა და მოკლე ხანში მთელი საქართველოს რესპუბლიკის მბრძანებელი გახდებაო. ასეთი ხმები, რასაკვირველია, სიცოცხლეს ჰმატებს ხალხის ყველა მტრებს და მზეს უბნელებს მისი გულითადი მეგობრებს. თუ ვინაა ამნაირი ჭორების მთხზველი პირადათ არავინ იცის, მაგრამ ვიცით კი საერთოდ, რომ ასეთებს მხოლოდ ის კლასი ჩმახავს, რომელიც დენიკინის ჩვენში შემოსვლით მოელის ჩამორთმეული მამულების, წოდების და სხვა და სხვანაირი პრივილეგიების დაბრუნებას.

ამის გარდა აქეთა მხარეში მრავლად დაძრწიან არასაიმედო პირნი, რომელნიც აგონებენ ხალხს, რომ არ მიიღონ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა და, თუ მიიღებენ, არ მისცენ სოციალისტურ პარტიებს და განსაკუთრებით სოციალდემოკრატებს ხმა, რადგანაც, მათის აზრით, ამ უკანასკნელებმა დაღუპეს რუსეთის სამეფო და ეხლა უნდათ ჩვენი ქვეყნის დაქცევა.

ვისაც რამდენიც უნდა იმდენი ბეროს ჭორების გუდა და ჩვენ, გლეხობამ, უკვე შევიგნეთ, თუ ვინაა ჩვენი მტერ-მოყვარე და ტყვილა დაძრწიან ეს ახლად გამოჩეკილნი, უპასუხისმგებლო ნაძირალები ჩვენში. უნდა იცოდეს ყველა მშრომელმა და ტვირთ მძიმემ, რომ მათი გაყოლით დავღუპავთ რევოლიუციასთან ერთად საკუთარ თავსაც და არც ედთი ჭკუაზე მყოფი მუშა—მშრომელი მათ ხმას არ მისცემს.

გრ. გლეხიშვილი.

# ანგარიში

სუფსის სოც.-დემ. ორგანიზაციისა 1918 წლის 2 სექტემბრიდან 1919 წლის 1 იანვრამდე.

შემოსავალი: კასაში იყო 118 მ. 20 კ.

I. საწევრო:

ბაზრიდან 122 მან. 45 კ., რკინის გზიდან 42 მან. 40 კ., ხიდმაღალაიდან 64 მან. 90 კ., ორმეთიდან 11 მ, ომფარეთიდან 34 მ. 70 კ., ხაჯალიიდან 45 მ. 30 კ., ახალსოფლიდან 51 მ. 90 კ., წყალ-წმინდიდან 14 მ. 70 კ., ტაბანათიდან 39 მ., სხვადასხვა შემოწირ. 233 მან. 50 კ., ახალგაზრდა მარქსისტთა წარმოდგენიდან 50 მ.

II საოლქო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატის ხარჯის დასაფარავათ.

ჩოჩხათიდან 217 . 40 კ., ჯურყვეთიდან 127 მ., ბაზრიდან 56 მ., რკინის გზიდან 32 მ., ხიდმაღალიდან 43 მ., ახალსოფლიდან 28 მ., ორმეთიდან 28 მ., ხაჯალიიდან 41 მ., ომფარეთიდან 20 მ., წყალ-წმინდიდან 18 მ., ტაბანათიდან 25 მ. სულ 1463 მ. 65 კ.

გასავალი: გურიის კომიტეტს 80 მ., საოლქო ყრილობაზე დელეგატებს 900 მ, გურიის კომიტეტში და ლანჩხუთში მგზავრობა 292 მ. 05 კ., დეპეშების, წერილების და სხვა 134 მ. 40 კ., შორაპნის მაზრაში კაცის გაგზავნა 100 მ. სულ 1506 მ. 45 კ.

ამრიგად, იანვრის პირველს დარჩა ვალი 42 მან. 80 კ.

კოლექტივის მდივანი ბ. ჰანტურია.

# ცნობები

ჯარისკაცი შალვა ფარნაოზის ძე გაბუნია მსახურებდა მე 3 ქართულ მსროლელ პოლკში, ტყვიისმფრქვეველთა რაზმში და ვერაფერი ამბავი ვერ გავიგეთ. სოხუმის მხარეზე იყო ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ. თუ ვინმემ რამე ამბავი იცის, ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი ადრესით: სადგ. აბაშა, სამიქაოს საზ. სამმართველო, გერასიმე თომას ძე შანიძეს.

ჩემი შვილი აკაკი სიხარულიძე მსახურებდა მესამე ქართულ პოლკში, მე-5 როტაში, რომელიც სომხეთის ომის დროს იყო გაგზავნილი ლეჩხუმიდან შულავერში, სადაც მისვლისათანავე 24 დეკემბერს მოუხდათ შეტაკება მტერთან, შულავერის გორებზე. შევედრებით მოვმართავთ შტაბს და მისი პოლკის პირებს თუ მკვდარი არ გინახავთ, შეიძლება გაქვთ რაიმე ცნობა სომხეთის ჯარის შტაბიდან მისი ტყვეთ წაყვანის შესახებ, რისთვისაც გთხოვთ მომაწოდოთ ცნობები მის შესახებ შემდეგი მისამართით: ქუთაისი, სალორის აგარაკი, ალექსანდრე სიხარულიძეს.

# ჩვენი ფოსტა

**მუხრანი.** ე„ლს. თქვენი წერილი, სათაურით—„რით არ ნება“, გადაეცა ჩვენი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს.

# განცხადებანი

ექიმი
## კეკელია
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფებს (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

კბილის სამკურნალო კაბინეტები
თევდორე საყვარელის ძე ცხოვრებიშვილისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი
## ნ. გ. გეგეჭკორი
სპეციალისტი—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყირლანოვის ქუჩა № 10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელეფ. 17—68

გაიხსნა თვალის სამკურნალო
(მუდმივი საწოლებით)
## ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი
## დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ქალი ექიმი
## ვაინი
იღებს სპეციალურად საშვილოსნო და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდებნაია, 33 ეზოში.

ექიმი
## ი. გ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის ქუჩის ქ. № 3.

ექიმი ნიკოლოზ იოანეს ძე
## მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი
## ვ. ნ. ჩუპრინინი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქ., № 30.

## ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
## გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა; ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სოლენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფონი 7—92

ექიმი ქალი
## ე. ს. კარუკეს — მეგურიშვილი
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა სამშობიარო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი ქალი
## რ. გ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამშობიარო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი
## ანასტია ლვოვიჩი-ორლოვსკი
მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7.

ქსენიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—8)

ექიმი მ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი დ. მ. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, საღამოს 5—6½, მადათოვის ქუჩა № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

გაიხსნილია
## კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

## დაიკარგა
სოფ. თავ-სურებიდან თორმეტი წლის ბავშვი ქ ქ კო კიკვაძე. წაბლის ფერი თმის, სუფთა სახის, ტანზე აცვია ძველი ხალათი. მნ ხვედს ვთხოვთ შეატყობინონ იმავე სოფელში ირაკლი კიკვაძეს, ან თფილისში ალექსანდროვის ქ. № 49, გ. კიკვაძეს. (2—2)

# სახელმწიფო თეატრი
ოთხშაბათს, 12 თებერვალს ა. მ. ძანჩინის გამოსათხოვი ბენეფისი, შამბერგის, იანსას, მოროზოვას, კანშინის, პოლიაევის, ვრონსკის მონაწილეობით
## პიკოვაია დამა
13 თებერვალს ვ. ა. ნიკოლსკის ბენეფისი „ბორის გოდუნოვი“

## შაბიემანს
ნიშადურის სპირტს, ტეხნიკურსა და გაწმენდილ სიმჟავეებს, აკუმილიატორულ სიმჟავეს და სხვ. ამზადებს
# ქიმიური ქარხანა „ატომი“
თფილისი ელისაბედის ქ. № 204, ტელეფ. 152. (4—1)

დღეს, 12 თებერვალს, საღამოს 4 საათზე, სახელოსნოს სკოლის შენობაში დანიშნულია მე-4 სამილიციო უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა
## საზოგადო კრება
დღის წესრიგი: 1) დამფუძნებელი კრება 2) არჩევნების ტეხნიკური მხარეები 3) საარჩევნო მუშაობის განაწილება. მომხსენებლად გამოვლენ პარლამენტის წევრი ოლა სოლოღაშვილი და ი. ირემაშვილი.

მე-4 რაიონული კოლექტივი.

## ვ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი
საზ. სახ. არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ, ხუთშაბათს, 13 თებერვალს, 1919 წ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
## ქრისტინე
დრამა ოთხ მოქმედებად, ე. ირეთელისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. ს. ანკარა, ე. ბარათაშვილი, ე. იანქოშვილი, ელ. ჩერქეზიშვილისა, ჯავახიშვილი; ბ ბ. გ. ანაშვილი, ბაზლაძე, ნ. გოცირიძე, რ. სულაყაია, რატიშვილი, ა. მეტრეველი, ა. თავდგირიძე, ქ. ხახანაშვილი.

რეჟისორი ივ. ბარველი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

(2—1)

განახლდა ჟურნალი
## „საქართველოს ეკონომისტის“
გამოცემა, ყოველგვარი მასალები დ ხოვები, უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: კალოუბნის (ბარონის ქ.) № 5. მთავრობის სტამბა. „საქართველოს ეკონომისტისათვის“ (3—2)

# ნავთი
თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ რომ 11 თებერვლიდან განყოფილების სადგომში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქ. კუთხე) დაიწყება განყოფილებისაგან მიღებულ 5 ცისტერნი ნავთის განაწილება ნავთის მისაღები ორდერები მიეცემა მხოლოდ საუბნო და ს-რაიონო კომიტეტებს ძველი ანგარიშის და 6 სერიის ბარათების 2 და 3 სათადარიგო ტალონების წარდგენის შემდეგ თითო გირვანქა სულზე, მხოლოდ არა უმეტეს 5 გირვანქისა თვითეულ ბარათზე. ნავთის ფასი საწყობში 31 მან. 05 კაპ. საუბნო და სარაიონო კომიტეტები კი ვალდებულნი არიან გაყიდონ ფუთი არაუმეტეს 40 მანეთისა.

თფ. ქ. მმართველობის სასურსათო განყოფილება.

# სასოფლო მეურნეობის კურსები
მიწათ მოქმედების სამინისტრო ხსნის ამ მიმდინარე თებერვლის 17-ს სასოფლო მეურნეობის საღამოს კურსებს ორივე სქესის პირთათვის სამი განყოფილებით: ჰორტიკულტურის მოყვანის, საქონლის მოშენების (მერძეობით) და მებაღეობის (ძვირფასი მცენარეებით).

თხოვნას იღებენ მიწათმოქმედების სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, № 22 შესავალი ეზოდან, მესამე სართული), პირველი საათიდან სამ საათამდე.

თხოვნაზე ორი თითო მანეთიანი მარკა უნდა იყოს დაკრული. (10—6)